P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

დაარღვია თუ არა ივანიშვილმა ქართული პოლიტიკის მთავარი ტაბუ?

იხილეთ მე-9 გვერდზე

შემთხვევითობა, თუ დაზარალებული იპოთეკარებისთვის მთავრობის მიერ გამიზნული „ბომბები“

მე-2 გვერდზე

№ 23 (673) 16 -22 სექტემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ინტერესთა კონფლიქტს შეწირული კიდევ ერთი მერი

გიორგი თევდორაძე: „ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა!“

ქუთაისის რიგით მეათე მერი დიმიტრი კოპალიანი შვებულებიდან დაბრუნების პირველსავე დღეს, 11 სექტემბერს, თანამდებობიდან გადადგა. სამთვიანი საქმიანობის შემდეგ კოპალიანმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა და პოსტი განმარტებების გარეშე დატოვა.

სპეციალურად ქუთაისის მერობისთვის ამერიკიდან ჩამოყვანილმა წამყვანმა IT სპეციალისტმა, ლოურენსისა და მიჩიგანის უნივერსიტეტების პროფესორმა, მისივე მხარდამჭერების განცხადებით, დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.
„ყველას აზრს ისმენდა და ამის გამო ძალიან დაიბნა. მისი პრობლემა ის იყო, რომ ვერ შეძლო გუნდის შექმნა, რომელსაც დაეყრდნობოდა, რადგან შიდა გარემოცვაში ჰყავდა ისეთი ადამიანები, რომლებიც ხელოვნურად უქმნიდნენ დაბრკოლებებს. ასეთ პირობებში იგი დიდხანს ვერ გაძლებდა და ქუთაისის ისტორიაში დარჩებოდა, როგორც სუსტი მერი. ახლა კი მისი იმიჯი არ შელახულა, პირიქით – პატიოსანი ადამიანის სახელი შეინარჩუნა,“ — მიაჩნია ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს **მამუკა მღვდელაძეს**, რომელიც ღიად ამბობს, რომ კოპალიანი კოალიციის კადრი იყო.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„P.S.ფოტო“ ©

დიმიტრი კოპალიანი

დაპირისპირება ქუთაისის №15 საჯარო სკოლაში

სკოლის დირექტორი, დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიზეზით, კომენტარს არ აკეთებს

იხილეთ მე-3 გვერდზე

სამართლებრივი აბსურდი თუ დასაბუთებული გადაწყვეტილება?

რატომ უთხრეს უარი სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე

იხილეთ მე-2 გვერდზე

პაატა შავაძე:

„სოზარი უფრო პოპულისტია, ვიდრე — ხალხის მსახური“

იხილეთ მე-5 გვერდზე

გიგა ბოგვერაძის ნაშრომი ბაგრატის ტაძრის ისტორიას ცვლის

იხილეთ მე-10 გვერდზე

საფიჩხიის მოსახლეობა მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს

იხილეთ მე-7 გვერდზე

ტრანსპორტის სფეროს „ძველი“ ლობისტები ახალი გეგმებით

მძღოლები საჯაროდ სდებენ ბრალს გოჩა თევდორაძეს და გიორგი თევდორაძეს

გასულ კვირას ქუთაისში ახალი მიკროსაავტობუსო ხაზის გახნას მოყოლილმა პროტესტმა სატრანსპორტო სფეროში წლების მანძილზე არსებული პრობლემები გამოააშკარავა.
გაფიცული მძღოლები, რომლებიც პროტესტის პირველ დღეს მხოლოდ №57 ექსპერიმენტალური ხაზის გაუქმებას მოითხოვდნენ, მალევე ალაპარაკდნენ ტრანსპორტის სფეროში არსებულ მონოპოლიებსა და მიკროსაავტობუსო ხაზის ლობისტებზე.
პროტესტის მესამე დღეს, როცა ვითარება უკიდურესად დაიძაბა და გაფიცულთა რაოდენობამაც იმატა, მძღოლებმა საჯაროდ დაასახელეს მათი ვინაობა, ვინც, მათივე თქმით, წლების მანძილზე აკონტროლებს სატრანსპორტო ბიზნესს ქალაქში. მძღოლები ქალაქში მოძრავი ყველა მიკროავტობუსის ლობისტად ღიად ასახელებენ ქუთაისის საკრებულოში ყველაზე დიდი ფრაქციის — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პარტიულ ლიდერს გოჩა თევდორაძეს და მასთან ერთად — ქუთაისის ყოფილ მერს გიორგი თევდორაძეს. მათი თქმით, გოჩა თევდორაძე, რომელმაც წლების განმავლობაში მთელი სატრანსპორტო სფეროს მონოპოლიზება მოახერხა, ავტობუსების მიკროავტობუსებით ჩანაცვლებას გეგმავს. მათი ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში დამატებით 9 ახალი სამარშრუტო ხაზის გახსნა იგეგმება, რაც, საბოლოო ჯამში, სრულად მოახდენს საქალაქო ტრანსპორტიდან ავტობუსების გაქრობას.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„ჩვენს თეატრს საერთაშორისო კლასის თეატრად ვაქცევთ“

ოპერის თეატრი ახალმა დირექტორმა, ხატია ვედმედევამ ჩაიბარა

იხილეთ მე-5 გვერდზე

იმერეთის რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების განყოფილება გაიხსნა

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

დაფინანსებული ფართი — გვ. 6

ფოტორეპორტაჟი — გვ. 11

PSnews.ge

ISSN 1987-7056

20 ათასამდე პენსიონერი სოციალურ შემწეობას აღარ დაკარგავს

მთავრობის 13 სექტემბრის სხდომის დასრულების შემდეგ, ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, პენსიების გაზრდის გამო 20 ათასამდე ადამიანი სოციალურ შემწეობას აღარ დაკარგავს.

„მოგეხსენებათ, სოციალური დახმარების მინიჭების სისტემაში რამდენიმე ათეული ფაქტორია და ერთ-ერთი მათგანია ფინანსური შემოსავლები, რომლებიც ქულებზე გავლენას ახდენს.

რა თქმა უნდა, ალოგიკური იქნებოდა, პენსიას ქულები შეეცვალა და, შესაბამისად, გარკვეულ ადამიანებს, ასეთი კი 20 ათასი აღმოჩნდებოდა, პენსიის მომატების გამო სოციალური დახმარება დაეკარგათ.

როცა ჩვენ მეთოდოლოგიის მოდელირება გავაკეთეთ, მთავრობისგან ნებართვა ავიღეთ და გაზრდილი პენსიები სოციალურ შემწეობებზე გავლენას აღარ იქონიებს," — უთხრა ჟურნალისტებს **დავით სერგეენკომ.**

აღნიშნულ ინიციატივას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პენსიის გადაანგარიშება სოციალურად დაუცველების კრიტერიუმებზე ზეგავლენას არ მოახდენს.

„მას შემდეგ, რაც პენსიები გაიზარდა, გაიზარდა ოჯახის მიერ მიღებული შემოსავალი. დღეს, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, მთავრობამ ამ საკითხზე იმსჯელა და პენსიის გადაანგარიშება სოციალურად დაუცველების კრიტერიუმებზე ზეგავლენას არ მოახდენს, ანუ ისინი მიიღებენ როგორც პენსიას, ისე იმ სოციალურ დახმარებას, რასაც იღებდნენ, თუ რა თქმა უნდა, სხვა დამატებითი შემოსავალი არ აქვთ," — განაცხადა **ნოდარ ხადურმა.**

psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ᵃ. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

შემთხვევითობა, თუ დაზარალებული იპოთეკარებისთვის მთავრობის მიერ გამიზნული „ბომბები"

გამოსახლებების პრობლემა საქართველოში კვლავ მწვავედ დგას. მთავრობამ კი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები ვერ დაამტკიცა. ამის პარალელურად, იპოთეკური სესხით დაზარალებულები, რამდენიმე დღეა, პარლამენტის წინ შიმშილობენ და აღსრულების პროცესის შეჩერების მოთხოვნით საკანონმდებლო ორგანოსთან აქციას მართავენ. მოშიმშილეებმა პროტესტის ნიშნად პარლამენტის წინ კარვები გაშალეს და მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე დაშლას არ აპირებენ. მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო პარლამენტთან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება არაერთხელ გამხდარა საჭირო, თუმცა, მიუხედავად ამისა, დაზარალებულები პროტესტის უკიდურესი ფორმის შეწყვეტას არ აპირებენ.

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

აქცია პარლამენტის წინ

11 სექტემბერს ქუთაისში, პარლამენტის წინ მყოფ მომიტინგეებს დაზარალებულები ქობულეთიდან და ფოთიდან შეუერთდნენ.

„არ დავიშლებით, ვიდრე მთავრობა ჩვენს მოთხოვნას არ გაითვალისწინებს. ჩვენ ავირჩიეთ და ახლა ჩვენი ბედი არც კი ანაღლვლებთ, ზოგიერთი დეპუტატი ირონიითაც გვესაუბრება. მოვითხოვთ, შეწყდეს გამოსახლებები და მოგვცენ გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხები, ხომ არ ვითხოვთ, რომ გვაჩუქონ, უბრალოდ, შეღავათი მოგვცენ," — აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას აფხაზეთიდან დევნილი **ტარიელ გაბელია**.

ერთ-ერთი მოშიმშილის განცხადებით კი შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად საგამოძიებო ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომელიც მევახშეების დანაშაულებს გაშიფრავს. „იმდენად ძარცვავენ ხალხს, რომ სამპროცენტიანი სესხი არ აკმაყოფილებთ და 7-8 პროცენტი მიაქვთ. აუცილებლად უნდა მოხდეს მათი საქმის შესწავლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დავიშლებით, დასაკარგი არაფერი გვაქვს, სახლის გარდა და ისიც თუ დავკარგეთ, ვიქნებით აქ, წასასვლელი მაინც არ გვექნება!" — აცხადებს მოშიმშილე **ირაკლი კაჩმაზოვი.**

საკანონმდებლო ორგანოს წინ დღედაღამ მყოფმა მოშიმშილეებმა ზედმიწევნით კარგად შეისწავლეს დეპუტატები და უკვე წინასწარ იციან, კანონში შესატან, მათთვის ესოდენ საჭირო ცვლილებებს რომელი დეპუტატი აუნთებს მწვანე შუქს.

მოშიმშილეებმა დეპუტატების დაფიქრება მოახლოებული არჩევნებითაც სცადეს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, „ცუდ"დეპუტატებზე ვერც ამით იმოქმედეს.

საკანონმდებლო ორგანოს წევრებისგან განსხვავებით, მოშიმშილეებს სოლიდარობას უცხადებს პარტია „თავისუფალი საქართველოს"იმერეთის ორგანიზაციის წარმომადგენლობა. გოგი წულაიას განცხადებით, ახალი მთავრობა ნაციონალური მოძრაობის მსგავსად იქცევა და, სავარაუდოდ, მასავით დაასრულებს არსებობას. „ყველამ კარგად იცის, რომ მევახშეების უკან მაღალჩინოსანი მაფიოზები დგანან, ესაა მიზეზი, რის გამოც ხელისუფლება საღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას მხარს არ უჭერს," — აღნიშნავს წულაია.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, პარლამენტში კონსულტაციები გრძელდება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გედევან ფოფხაძის ინიციატივა პირველი მოსმენის შემდეგ, საბანკო სექტორის უკმაყოფილების გამო, შეჩერდა.

აღსანიშნავია, რომ რამდენჯერაც პარლამენტის დღის წესრიგში დადგა გამოსახლებების შესახებ კანონში შესატანი ცვლილება, იმდენჯერვე საკანონმდებლო ორგანოში ბომბის არსებობის შესახებ ანონიმური ზარი შევიდა და შენობიდან „სამუშაოდ მობილიზებული" დეპუტატების ევაკუაცია მოხდა. პირველ შემთხვევაში, მთავრობაზე განაწყენებულმა 73 წლის მოხუცმა დეპუტატების შეშინება სცადა, გასულ კვირას განხორციელებული ანონიმური ზარის ავტორი, ხაშურელი არასრულწლოვანი კი სამართალდამცავება ცხელ კვალზე დააკავეს. რა მოტივით განახორციელა მოზარდმა საკანონმდებლო ორგანოში ზარი, ამ დრომდე უცნობია.

პარლამენტის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო, საზოგადოებაში აქტიურად საუბრობდნენ, რომ მთავრობამ ზარის თაობაზე ფარსი გაითამაშა, რათა კანონში შესატანი ცვლილებები არ დამტკიცებულიყო. ამ მოსაზრებას ისიც ამძაფრებს, რომ ევაკუაციიდან მეორე დღეს საკანონმდებლო ორგანოში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს აღარავინ დაბრუნებია.

არადა, პარლამენტის წინ სიცხეში, წვიმასა და ქარში მყოფი მოშიმშილეები ყოველ სასესიო დღეს იმ იმედით შეჰყურებენ, რომ მთავრობა მათ, გარეთ მყოფ დაზარალებულებს, გაიხსენებს და პარლამენტის ეზოდან შინ იმ იმედით გადაინაცვლებენ, გამოსახლების უწყებას აღარავინ მიუტანთ.

რამდენიმე დღის წინ კი იპოთეკური სესხებით დაზარალებულთა დასახმარებლად ინვესტორი გამოჩნდა. ნუგზარ გოგიძე, რომელიც ქუთაისში პარლამენტთან მყოფ დაზარალებულ მოქალაქეებს უკვე შეხვდა, აცხადებს, რომ მას კერძო საინვესტიციო ფონდიდან გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი იპოთეკური სესხების გასაცემად პირველ ეტაპზე 3 მილიარდის მობილიზება შეუძლია. მთავრობის ნებართვის შემდეგ კი შესაძლებელია, საინვესტიციო თანხა 10 მილიარდამდეც გაიზარდოს.

გოგიძის განცხადებით, მთავრობის თანხმობის შემდეგ ეროვნული ბანკი მევახშეებისგან დაზარალებულ პირთა ქონებას გადმოიწერს, მიიღებს ამ კრედიტს და განკარგავს

ნესტან ჩაგელიშვილი

სამართლებრივი აბსურდი თუ დასაბუთებული გადაწყვეტილება?

რატომ უთხრეს უარი სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე

სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობას ვერ მიიღებს. ორი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ის პრეზიდენტობის მსურველი პირებისათვის დაწესებულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს.

სასამართლომ განმარტა, რომ მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. იგივე მუხლის მე-1¹ ნაწილის მიხედვით კი საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

სასამართლომ ჩათვალა, რომ, კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმების ერთობლივი ანალიზიდან გამომდინარე, განსაზღვრულია იმ კრიტერიუმების წრე, რომელთა არსებობის შემთხვევაში გამორიცხულია კანდიდატად რეგისტრაცია და ეს ერთ-ერთი კრიტერიუმი არის ორმაგი მოქალაქეობა.

„სასამართლოს მიიჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილი არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც კანონმდებელმა დაუწესა პრეზიდენტობის მსურველ პირებს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ ნაწილით და, შესაბამისად, კანონის მოთხოვნების სრული დაცვით, ეთქვა უარი პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე," — ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციები კი მიიჩნევენ, რომ სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არასწორად უთხრა უარი მას კანდიდატად რეგისტრაციაზე. სალომე ზურაბიშვილის უფლებებს სასამართლოში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" (საია) იცავდა. საიას განცხადებით, ცესკოს თავმჯდომარის უარი დაუსაბუთებელი იყო.

„არც საარჩევნო კოდექსი და არც საქართველოს კონსტიტუცია არ მოითხოვს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს ჰქონდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა. კონსტიტუციის 70-ე და საარჩევნო კოდექსის 96-ე მუხლებში, რომლებიც პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებისთვის სავალდებულო კრიტერიუმების საკმაოდ დეტალურ ჩამონათვალს მოიცავს, არაფერია ნათქვამი ორმაგ მოქალაქეობაზე. ერთადერთი რეგულაცია, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვას ეხება, ეს არის კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტი. თუმცა, აღნიშნული მუხლი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებას უკრძალავს და არა – არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. შესაბამისად, თუ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი გაიმარჯვებს არჩევნებში, იგი უბრალოდ დატოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას და კონსტიტუცია არ დაირღვევა" — მიაჩნია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს.

ამასთანავე, TI-ის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, როგორც თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, კონსტიტუციის მიზნის მისაღწევად გამოყენებული უნდა იქნას უფლების ყველაზე უფრო ნაკლებად შემზღუდველი ზომა. ამ შემთხვევაში მიზანი — საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქემ — თავისუფლად მიღწევადია, თუ სალომე ზურაბიშვილს მიეცემოდა კანდიდატად რეგისტრაციის უფლება და გამარჯვების შემთხვევაში იგი დატოვებდა საფრანგეთის მოქალაქეობას.

„დღევანდელმა სასამართლოს გადაწყვეტილებამ აჩვენა, რომ საქართველოში დემოკრატია ცუდ დღეშია. სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა ყოველგვარ არგუმენტსაა მოკლებული. დღევანდელი დღით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სასამართლო არ ჰყავს," — განუცხადა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტირებისას.

გაგრძელება მე-8 **გვერდზე**

ინტერესთა კონფლიქტს შენირული კიდევ ერთი მერი

გიორგი თევდორაძე: „ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა!"

პირველი გვერდიდან

ქალაქის მერის გადადგომას მწვავე კრიტიკით შეხვდა ოპოზიცია. საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ" „ქართული ოცნება" ღალატში ჯერ კიდევ მაშინ დაადანაშაულა, როცა დიმიტრი კოპალიანი დაანონსებულ იმპიჩმენტამდე ერთი დღით ადრე შვებულებაში გავიდა. ახლა კი ოპოზიციონერი დეპუტატები ამბობენ, რომ კოპალიანს გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება ინტენსიური ზეწოლის პირობებში მიაღებინეს.

კოპალიანის გადადგომას სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა საპარლამენტო ოპოზიციის წევრმა გიორგი თევდორაძემ. „ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ოფისში გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქუთაისის ხელისუფლებისგან ქალაქის მერის პოსტის დატოვებასთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება მოითხოვა.

„როგორც ჩანს, ქუთაისში იწყება ეპოპეა მერების სწრაფი ცვლის. დიმიტრი კოპალიანის მოსვლა და ორ თვეში წასვლა მხოლოდ ამაზე მეტყველებს. მე მიმაჩნია, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც მოიყვანეს კოპალიანი ქალაქის სათავეში, საზოგადოებისთვის უნდა გააკეთონ განმარტებები ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა? რა ხდება ამ ქალაქში. ადგილობრივი ხელისუფლების ამ საქციელის შემდეგ გაბითურებულია არამხოლოდ კოპალიანი, არამედ სრულიად ქუთაისი," — განაცხადა **გიორგი თევდორაძემ**.

რა გარემოებაში დატოვა კოპალიანმა პოსტი, წავიდა თუ აიძულეს, წასულიყო? თავად იმპიჩმენტის მომხრე დეპუტატებიც კი პირად საუბრებში ადასტურებენ, რომ კოპალიანი „პატრიოტებთან" ინტერესთა კონფლიქტს შეეწირა.

2003 წლიდან დღემდე ქუთაისმა 10 მერი გამოიცვალა

სხვადასხვა გარემოებაში, ზოგჯერ ნებით, ზოგჯერ დაანონსებული, ხანაც კი შემდგარი იმპიჩმენტის გზით თანამდებობებს ტოვებდნენ სახელისუფლებო პარტიებისა თუ კოალიციის კადრები. ქალაქის მერის პოსტი მერსა და ქალაქში მმართველ სხვა ძალას შორის ინტერესთა კონფლიქტის დაწყების პარალელურად ხდებოდა ვაკანტური.

შესაბამისად, არასტაბილურ გარემოში, მუდმივი შიდა დაპირისპირებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა არამყარი პოზიციების პირობებში, ქალაქს „ორთვიანი" და „სამთვიანი" მერები მართავდნენ. მერის დანიშვნა – გადაყენების საკითხი კი არა ადგილობრივ დონეზე, არამედ მუდმივად „სხვა ძალების" კაბინეტებში წყდებოდა.

„ვარდების რევოლუციის" პირველი ხუთწლეული განსაკუთრებით არასტაბილური იყო. 2007 წლამდე ქალაქს 6 მერი მართავდა: ნუგზარ ფალიანი, გია გიორგაძე, ბესიკ გულორდავა, გიგა ჩოგოვაძე, ბაკურ ბალანჩივაძე და ნიკო კაჭკაჭიშვილი – ასე გამოიყურება ქალაქის 5 წლიანი ისტორიის მერების ჩამონათვალი. მათგან ბაკურ ბალანჩივაძე, რომელსაც ქალაქის მართვა არასრულ ერთ წელს მოუწია (იგი ძვირადღირებული სახელმწიფო მანქანის შეძენას შეეწირა), სულ ცოტა ხნის წინ მერობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო, თუმცა, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მისი სამოქმედო გეგმა დაიწუნა და პოსტზე აწ უკვე ყოფილი მერი დიმიტრი კოპალიანი დანიშნა.

პირველი ხუთწლეულის ბოლო მერი ნიკო კაჭკაჭიშვილი კი, რომლის სახელსაც 2007 წელს ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩატარებული მასშტაბური რეორგანიზაცია უკავშირდება, საპასუხისმგებლო თანამდებობას დღემდე ინარჩუნებს. კაჭკაჭიშვილი, რომელმაც პარლამენტის წევრის აკაკი ბობოხიძის რეკომენდაციით ქუთაისში მოღვაწეობა ვიცე-მერის პოსტიდან დაიწყო, კვლავ ვიცე-მერია.

შედარებით სტაბილურად დაიწყო „ვარდების რევოლუციის" 10 წლიანი მონაკვეთის მეორე ხუთწლეული. 2007 წლის ოქტომბერში მერის პოსტზე დანიშნული ნუგზარ შამუგია (რომელიც ნინო ბურჯანაძის კადრი იყო) მის მომდევნო მერს გიორგი თევდორაძეს თანამდებობრივ სტაბილურობაში მხოლოდ ერთი თვით ჩამორჩა. შამუგიას მმართველობა, რომელიც 2 წელი და 8 თვე გაგრძელდა, ნიკეას ნაგავსაყრელის დღემდე მოუგვარებელმა პრობლემამ შეიწირა. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ტელეკამერების წინ „დატუქსული" შამუგია ქალაქის ისტორიას „ნაგავს გადაყოლილი მერის" სტატუსით შემორჩა, თუმცა, მაშინ ამბობდნენ, რომ პრეზიდენტის ქუთაისში ვიზიტი და შამუგიას უმოქმედობაში საჯაროდ მხილება, ქუთაისის ახალი მერის დანიშვნისთვის წინასწარი საზოგადოებრივი განწყობის შექმნას ემსახურებოდა.

მალევე, 2010 წლის ივნისში, ქუთაისის მერის პოსტს „ნაციონალური მოძრაობის" კადრი გიორგი თევდორაძე იკავებს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ის ქუთაისის ყველაზე სტაბილური მერი აღმოჩნდა, თუმცა, მისი მმართველობის თითქმის სამწლიანი მონაკვეთი კი ადგილობრივი მედიისთვის ერთ-ერთი ყველაზე გაუმჭვირვალე პერიოდი იყო.



დიმიტრი კოპალიანისგან განსხვავებით, დაანონსებულ იმპიჩმენტს ვერ გადაურჩა ქუთაისის რიგით მეცხრე მერი ბესიკ ბრეგაძე. ქუთაისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატი საკუთარმა თანაგუნდელებმა მერის პოსტზე ორთვიანი მოღვაწეობის შემდეგ, თანამდებობიდან იძულების წესით გადააყენეს.

ქუთაისი კვლავ ახალი, რიგით მეთერთმეტე მერის მოლოდინშია.

***

მერის არჩევამდე მოვალეობის შემსრულებლის ვინაობა 13 სექტემბრის მდგომარეობით უცნობია. იქიდან გამომდინარე, რომ ყოფილმა ვიცე-მერმა კოტე რატიანმა მერიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მოიგო და იგი დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს თანამდებობაზე, გამორიცხული არ არის, მერის მოვალეობის შესრულება სწორედ მას დაეკისროს, კოტე ლომიძეს კი, რომელმაც თავის დროზე რატიანი ჩაანაცვლა, შესაძლოა, პოსტის დატოვება მოუწიოს.

მარი პატარაია

დაპირისპირება ქუთაისის №15 საჯარო სკოლაში

სკოლის დირექტორი, დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიზეზით, კომენტარს არ აკეთებს

ქუთაისის ნომერ 15-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი მარინე მიქაბერიძე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ლია კუხიანიძეს უსამართლო გადაწყვეტილების მიღებაში სდებს ბრალს. მიქაბერიძის განცხადებით, კუხიანიძემ პირადი ინტერესების გამო უკანონოდ შეუმცირა საათები და სადამრიგებლო კლასი ჩამოართვა.

მიქაბერიძის თქმით, 2012 წელს სასერთიფიკაციო გამოცდებზე ერთი წარმატებით ჩააბარა, მეორე გამოცდაზე კი მძიმე ოჯახური პირობების გამო ვერ გავიდა. თუმცა, სკოლის დირექტორმა გამოცდაზე გაუსვლელობა წარუმატებლობად ჩაუთვალა და საგნობრივი საათები ჩამოართვა.

სკოლაში განვითარებულ მოვლენებზე პედაგოგი მარინე მიქაბერიძე გაზეთ „**P.S.**"-სთან საუბრობს:

— ჩაბარებულ გამოცდაზე დაბალი ქულები დამიწერეს, თუმცა, გასაჩივრების შემდეგ, ქულები მომიმატეს. მიუხედავად იმისა, რომ ლია კუხიანიძემ იცოდა, შედეგები გასაჩივრებული მქონდა, პასუხს არ დაელოდა და ისე გამივრცელა ხმები, თითქოს გამოცდები ვერ ჩავაბარე და არაკვალიფიციური ვიყავი. ამ მიზეზითვე საათები არ მომცა და სადამრიგებლო კლასი ჩამომართვა. თუმცა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა არასერთიფიცირებულ მასწავლებლებს საათებიც მისცა და სადამრიგებლო კლასიც ჩააბარა. ამით ცხადი ხდება, რომ მიზეზი, ვითომდა არასერთიფიცირებულობის გამო არ მქონდა უფლება, საათები ამეღო, — უსამართლოა. მოგვიანებით კეთილი ნება გამოიჩინა — სამოქალაქო სამართალში ორი საათი მიწყალობა. ეს საგანი მეორე სემესტრში ისწავლებოდა და 12 კვირეულ საათს მოიცავდა. ამის შემდეგ ისევ დამირეკა და მაცნობა, რომ თავის ექვს საათს მითმობდა დროებით. არ დავთანხმდი, რადგან არ მინდოდა, ლია კუხიანიძესთან დავალებული ვყოფილიყავი, თორემ ჩემი კატეგორიის მასწავლებლისგან კი მივიღებდი კუთვნილ საათებს. მაშინ, როდესაც სხვა მასწავლებლებს ერთი გამოცდა არ ჰქონდათ ჩაბარებული და ცხრა საათს აძლევდნენ, მე სამი საათიც არ მეკუთვნოდა, ჩემს სადამრიგებლო კლასში რომ შევსულიყავი? ლია კუხიანიძემ პირადი უკმაყოფილების გამო ამითვალწუნა, არ მოსწონდა, სიმართლეს რომ ვამბობდი. ყველა მასწავლებელს უკრძალავს ჩემთან ურთიერთობას. კლანი აქვს სკოლაში შექმნილი, ვინც მის გარემოცვაში არაა, არ ახარებს. რამდენიმე მასწავლებელი გაუშვა სკოლიდან. ჩემი გამოშვების მიზეზად ჩემს ვითომდა წარუმატებელ გამოცდებს ასახელებდა. დაქალობით ნიშნავს სკოლაში მასწავლებლებს.

— როგორც ამბობთ, წელს კვლავ გახვედით გამოცდაზე. მიუხედავად შედეგებისა, რატომ ვერ მიიღეთ საგნობრივი საათები?

— წელს სასერთიფიკაციო გამოცდაზე გავედი და დარჩენილი გამოცდა წარმატებით ჩავაბარე, თუმცა, კათედრის სხდომაზე მისვლისას აღმოჩნდა, რომ სილაბუსები ყველას წინასწარ ჰქონდა მომზადებული და საათებიც წინასწარ იყო გადანაწილებული. ასე არ ხდება ხოლმე — საათები კათედრის სხდომაზე უნდა გადანაწილდეს. კუხიანიძის ხელში დავნერვიზდი. იცოდა, რომ ემოციური ვარ და უნდოდა, ამით ესარგებლა. 5 სექტემბერს, კათედრის სხდომაზე ყოფნის დროს, მშვიდად ვეკითხებოდი, რამდენი საათი მომცეს, მაგრამ შემოვლით მპასუხობდა. ჩემს პროვოცირებას ცდილობდა, უნდოდა, გავბრაზებულიყავი და რაიმე მეთქვა, მაგრამ თავს ვაკონტროლებდი. მეუბნებოდა, რომ მოსწავლეთა მშობლები მიჩიოდნენ, არადა, მშობლებმა განცხადება დაწერეს ჩემი დაბრუნების მოთხოვნით. აცხადებდა, რომ მეტყველება არ მივარგა და მოსწავლეებთან პრობლემები მაქვს. ასევე, თურმე ნიშნის გამოყვანაში შეცდომები აღმომაჩნდა. არადა, სკოლაში ექვსწლიანი მუშაობის პროცესში ერთი შეცდომა არ მქონია. ბოლოს მითხრეს, რომ საათები საერთოდ არ მქონდა. ხმა არ ამომიღია, ავდექი და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ თავბრუ დამეხვა და წავიქეცი. ნაცვლად იმისა, რომ მომშველებოდნენ, კუხიანიძე გაიძახოდა, პროვოკაციას მიწყობსო. სასწავლო ნაწილი ნინო თვალაბეიშვილი კი აცხადებდა, რომ მერხს ფეხი წამოვკარი და ამიტომ დავეცი. სასწრაფოსაც არ დაურეკეს და სახლში შვილის საჭმლისთვის წამოღებული ბოლო ათი ლარით გამოძახებული ტაქსით გამომისტუმრეს. ისიც კი არ იკადრეს, დედაჩემისთვის დაერეკათ, რომ შინ წავეყვანე. კუხიანიძე ყოველ ფეხისნაბიჯზე იტყუება, მისი თქმით, მთელი აგვისტოს განმავლობაში მირეკავდა, რომ ეცნობებინა, საათები რატომ არ შემხვდა და თურმე არავინ პასუხობდა. „ატეესში" აგვისტოს თვეში ჩვენს ნომერზე დაფიქსირებული ყველა ნომერი ამოვაღებინეთ და აღმოჩნდა, რომ სკოლიდან ერთი ზარიც კი არ განხორციელებულა.

— რა გახდა თქვენი დაპირისპირების მიზეზი?

— კუხიანიძეს გაჭირვებული ხალხი არ უყვარს, შეძლებულ ადამიანებს აღიარებს მხოლოდ. ამიტომ იყო, რომ სკოლაში ერთ-ერთი ბრენდული მაღაზიის მეპატრონე მიიღო მასწავლებლად. ასევე სკოლაში დაწყებით კლასში მუშაობდა პედაგოგი, რომელიც თვეში ერთხელ თურქეთში დადიოდა. თურქეთში ჩასვლა-ჩამოსვლას მინიმუმ ხუთი დღე ხომ სჭირდება, გამოდის, რომ ამ დროს მასწავლებელი გაკვეთილებს აცდენდა. რაც შეეხება დაპირისპირებას, მისი კლანის ჭორაობას და ენის მიტან-მოტანას მოჰყვა. ისიც კი იკადრა, ოქმი დამიწერა, ვითომდა სიტყვიერი შეურაცხყოფა მივაყენე. ეტყობოდა, ეს შეთხზული ოქმი იმდენად მოეწონა, რომ ორჯერ მოაწერა ხელი. მოვითხოვე, ეჩვენებინათ ოქმები, მაგრამ კათედრის წევრს განმიცხადა, რომ ოქმების მისაღებად განცხადებით უნდა მიმემართა მისთვის. ჩემს შეტანილ განცხადებებზე არ მპასუხობს, ის კი არადა, ასეთი პასუხით გამისტუმრა: დაურეკე გავლენიან „ნაციონალებს" და გიპასუხებო. სკოლაში შიდა აუდიტის ჩატარება მოვითხოვე, მაგრამ სამინისტროდან არავინ მოსულა, მხოლოდ სამინისტროს ქუთაისელი წარმომადგენელი და რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი — ადამიანები, რომლებიც ლია კუხიანიძის მეგობრები არიან. რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ანა ლეჟავამ ჭორაობა დაიწყო, საქმის გაკეთების ნაცვლად, და ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 5 სექტემბრის კათედრის სხდომაზე მომხდარის შემდეგ, კუხიანიძემ დედაჩემს დაურეკა და აცნობა, თურმე რვა საათი დამითმეს. თუკი არაკვალიფიციური ვარ და მოსწავლეებთან პრობლემა მაქვს, როგორ მიშვებს კლასში გაკვეთილების ჩასატარებლად?

— აპირებთ თუ არა, მოცემული 8 საათი მიიღოთ?

— მე ვაპირებ სკოლაში დაბრუნებას, მაგრამ ვიდრე ლია კუხიანიძე იქნება დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სკოლაში არ შევალ. არ მაქვს ამ ქალთან ბრძოლის თავი, დამაავადმყოფა. არსებული მდგომარეობის შესახებ განათლების სამინისტროც ჩავაყენე საქმის კურსში. არ მინდოდა, ჩვენი დაპირისპირება სკოლის კედლებს გასცილებოდა, მაგრამ ჩემით მაგ ადამიანთან ვერაფერს გავხდი. არ ვაპირებ, ჩემს სამი წლის შვილს ლუკმა დავუკარგო, ბოლომდე ვიბრძოლებ.

***

მარინე მიქაბერიძის ბრალდებებზე კომენტარის გაკეთება სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ლია კუხიანიძეს ვთხოვეთ, მაგრამ მან, მისვლის მიზეზი რომ შეიტყო, სკოლაში მისულს უარი იმ მიზეზით მითხრა, რომ მოახლოებული სასწავლო წლის გამო გადატვირთული რეჟიმი ჰქონდა, ამიტომ შეხვედრა მეორე დღისთვის შევათანხმეთ. ხუთშაბათს დღის მეორე ნახევარში, შეთანხმებისამებრ, კუხიანიძეს დავუკავშირდი და დაგეგმილი შეხვედრა შევახსენე. მოგვიანებით კი სკოლის დირექტორი თავად დამიკავშირდა და შეხვედრა გაუქმა.

„არ იფიქროთ, პასუხის გაცემას გავურბოდე. უბრალოდ, ვერანაირად ვერ ვახერხებ შეხვედრას. დატვირთული გრაფიკი მაქვს. რა კითხვები გაქვთ მაინც, რა უნდა გითხრათ? მარინე მიქაბერიძე არის ჩემი მასწავლებელი და ჩვენ ურთიერთობას სკოლაში გავარკვევთ," — აღნიშნა სატელეფონო საუბრისას ლია კუხიანიძემ.

ნესტან ჩაგელიშვილი

იმერეთის რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების განყოფილება გაიხსნა

10 სექტემბერს „ჩემი ოჯახის კლინიკის" ქუთაისის რეგიონალურ საავადმყოფოში, სამედიცინო ხარისხის გაუმჯობესებისა და სამედიცინო დახმარების დროულობის უზრუნველსაყოფად, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების განყოფილება გაიხსნა.
სასწრაფო გადაუდებელი დახმარების (ER) განყოფილების გახსნის უმთავრეს მიზანს კლინიკაში პაციენტის არასაჭირო დაყოვნების შემცირება და კრიტიკული პაციენტებისთვის გაწეული პირველადი დახმარების ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს.

გიორგი მინდიაშვილი

EMERGENCY-ის დანიშნულებასა და პირობების შესახებ „ჩემი ოჯახის კლინიკის" გენერალური დირექტორი **გიორგი მინდიაშვილი** საუბრობს:

— გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილება თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებული „emergency"-ის ცენტრის მსგავსად შეიქმნა. ჩვენ გავითვალისწინეთ და შევუნარჩუნეთ ის დანიშნულება, რაც იმერეთის რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოს ჰქონდა.

ეს არის საავადმყოფო, რომელიც არამარტო ქუთაისიდან, არამედ, საჭიროების შემთვევაში, მთლიანად დასავლეთ საქართველოდან მოსულ პაციენტებს ემსახურება. „emergency"-ის შემთხვევაში კი გავაუმჯობესეთ სერვისი. მომსახურებას გავუწევთ ყველა ტიპის პაციენტს და რისკის დონეც მინიმუმამდე იქნება დასული.

— რა მომსახურებას სთავაზობთ კლინიკაში მოსულ პაციენტს?

— საერთაშორისო სტანდარტების მქონე განყოფილება უახლესი სამედიცინო აპარატურით არის აღჭურვილი. აქვე ფუნქციონირებს მცირე საოპერაციო, შოკის დარბაზი, მაღალტექნოლოგიური რეანიმაციული საწოლი, ობსერვაციის დროებითი დაყოვნების პალატები, ასევე კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი.

ჩვენი მიზანია, აქ მოსულ პაციენტს უმაღლესი ხარისხის პირველადი დახმარება აღმოვუჩინოთ, რის საშუალებასაც კლინიკა ნამდვილად იძლევა, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურა, მცირე საოპერაციო და პროფესიონალი კადრები პაციენტს სრულ სერვისს შესთავაზებენ. გადაუდებელი მომსახურების სამედიცინო დაწესებულების ფარგლებში, კლინიკურ საავადმყოფოში, დამატებით, 27 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. სამედიცინო პერსონალი კი კონკურსის წესით შეირჩა. შერჩეულმა კადრებმა მუშაობის დაწყებამდე შესაბამისი ტრეინინგები გაიარეს. ჩვენი და პაციენტის ურთიერთობა საავადმყოფოში არ მთავრდება, სახლში გაწერის შემთხვევაში, პაციენტებს ეძლევათ რეკომენდაციების ჩამონათვალი და ექიმი მუდმივად იღებს ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

— ერთდროულად რამდენი პაციენტის მომსახურებაა შესაძლებელი?

— „emergency" თავის მასშტაბებით დასავლეთ საქართველოში ერთადერთია და ის დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონს მოემსახურება. განყოფილება 80 პაციენტზეა გათვლილი. გაუთვალისწინებელი მასობრივი კატასტროფის შემთხვევაში, გაცილებით მეტი პაციენტის მიღება იქნება შესაძლებელი.

— რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის მაღალი ხარისხის გამო EMERGENCY-ით სარგებლობა რამდენად იქნება ხელმისაწვდომი?

— განყოფილება 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს. რაც მთავარია, პაციენტები განყოფილების ფარგლებში, ჩვეულებრივ, სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული დაზღვევით ისარგებლებენ.

სს „ჩემი ოჯახის კლინიკა" აღნიშნული სერვისის მიწოდებას, ქუთაისის რეგიონული კლინიკის გარდა, მის ქსელში შემავალ სხვა კლინიკებშიც გეგმავს.

ნესტან ჩაგელიშვილი

დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგები

სოციალური ქსელები და მედია საშუალებები ყოველდღიურად გვამცნობენ, რომ ბავშვებს ესაჭიროებათ დახმარება. ვინ მოახერხებს იმის გამოთვლას, რამდენი სოციალური პრობლემის მოგვარება შეიძლებოდა იმ ახირებებზე გაწეული ხარჯებით, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში კონცერტებსა და უგემოვნო არქიტექტურაზე დაიხარჯა? რამდენად წაადგებოდა ქუთაისში აშენებული პარლამენტისთვის გაწეული ხარჯები თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს!

ორიოდე დღის წინ საჩხერეში შევხვდი ქალბატონს, რომელსაც ოჯახში ჰყავს სპეციალური საჭიროებების მქონე შვილი და მამინაცვალი. უკიდურესი გაჭირვების გამო მას მუნიციპალიტეტმა 600 ლარიანი დახმარება გამოუყო, მაგრამ, ვისაც მარტივი გამოთვლა შეუძლია, ადვილად მიხვდება, რომ ეს თანხა ორ ადამიანს, რომლებიც მუდმივად ფარმაკოთერაპიულ მდგომარეობაშია, არანაირად არ ეყოფა. მუნიციპალიტეტი ამჯერად მათ ეუბნება, რომ დებულების მიხედვით მეტი თანხის გამოყოფას ვერ შეძლებენ, ჯანმრთელობის სამინისტრო კი რეფერალური პროგრამის გამოყენებისკენ მიუთითებს დედას, რომლის 10 წლის შვილს აუცილებლად ესაჭიროება მასაჟისტის მომსახურება და ძვირადღირებული ვაქცინაცია. საქართველოს დიდი ქალაქების გარდა ყველგან (საჩხერის გამოკლებით) შეიმჩნევა მოსახლეობის შემცირება. კლების ორივე სახე, ბუნებრივიც და მექანიკურიც, იმდენად საგანგაშოა, რომ, შეიძლება, ქართველები მალე უმცირესობადაც კი დარჩნენ ისტორიულ სამშობლოში. მოსახლეობის მექანიკური კლება შეუქცევადად მიმდინარეობს მსოფლიოში ურბანიზაციის პარალელურად. დემოგრაფები აღნიშნავენ, რომ, დაახლოებით, 200 წელიწადში ქალაქის მოსახლეობა, საერთაშორისო მასშტაბით, 3%-დან, დაახლოებით, 50%-მდე გაიზარდა, ანუ ამ ეტაპზე თითქმის თანაბარია სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა. დასავლეთ ევროპასა და იმ ქვეყნებში, სადაც მიწა ძალიან ძვირია, ადამიანი იძულებულია, იცხოვროს ქალაქში, დაბალეკონომიკური განვითარების სახელმწიფოს მოსახლეობა იძულებულია, რომ ქალაქს მიაშუროს, რადგან სოფელში არ არსებობს ფული.

მსოფლიოში უკვე ძალიან ცოტა სახელმწიფო დარჩა ისეთი, სადაც სოფლის მოსახლეობა აჭარბებს ქალაქისას. მე-20 საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში ქალაქის მოსახლეობა 57%-ზე მეტს შეადგენდა, რაც, ძირითადად, შიდა მიგრაციის ხარჯზე ხდებოდა. 90-იან წლებში შეიმჩნეოდა ქალაქიდან მოსახლეობის სოფელში გადასახლების სუსტი ტენდენცია, რომელმაც მასობრივი სახე ვერ მიიღო, რადგან ქართული სოფელი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნებს. საქართველოს 59 მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღირიცხა 36 მუნიციპალურ ერთეულში. ქართველი ერი გადაბერებულ ერთა რიგს მიეკუთვნება, რადგან ასაკში შესულთა ხვედრითი წილი განუხრელად იზრდება, რაც გამოწვეულია შობადობის დაბალი მაჩვენებლებით. მთიანი რეგიონები, სადაც არ ხორციელდება დემოგრაფიული პოლიტიკის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, თითქმის მოხუცების ამარა დარჩა. რეპროდუქციული ასაკის ადამიანები ტოვებენ მთის სოფლებსა და ქალაქებს, მათი ძირითადი მიგრაციის მარშრუტი განისაზღვრება საქართველოს დიდი ქალაქებისკენ ან ეკონომიკურად განვითარებული საზღვარგარეთისკენ.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაბადებული ახალგაზრდების უმეტესობა ოჯახის შექმნას ეწინააღმდეგება, რადგან პასუხისმგებლობების წინაშე დადგომისას მათ არ აქვთ ბერკეტები პრობლემების აღმოსაფხვრელად. ქვეყანას როცა არ გააჩნია დემოგრაფიული პოლიტიკის ხანგრძლივ პერიოდზე გათვლები, შემაშფოთებელ შედეგებამდე მივალთ ათიოდე წელში, რადგან 2025 წლისათვის 1980-1989 წლებში დაბადებული 455 ათასი ქალბატონი უკვე რეპროდუქციულ ასაკს გადააბიჯებს და მისი შემცვლელი, ბუნებრივია, ვერ იქნება 2000-2009 წლებში დაბადებული გოგონები იმ დემოგრაფიული უფსკრულის შემავსებელი, რადგან მათი რაოდენობა მხოლოდ 236 ათასია. თუ არ შენელდა რეპროდუქციული ასაკის ქალბატონების საზღვარგარეთ გადინება და ბიოლოგიურ-სოციალური მოვალეობა არ (ვერ) შეასრულეს, მაშინ შესაძლებელია, რომ ქართველების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად შემცირდეს საქართველოს ეთნიკურ სპექტრში. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ამჟამად საქართველოს მოსახლეობა 4,5 მილიონამდეა, გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგნოზის მიხედვით 2050 წელში 3,2 მილიონამდე შემცირდება, რაც მოსახლეობის, დაახლოებით, 30%-იანი კლებაა. საეჭვო არ არის, რომ თუკი მოსახლეობის კლება იქნება, ეს მოხდება ძირითადად ქართველების ხარჯზე. სამწუხარო მონაცემია ისიც, რომ საშუალოდ ყოველწლიურად 700-მდე 1 წლამდე ასაკის ბავშვი იღუპება. მსოფლიოში ქვეყნების მიხედვით (გაეროს მონაცემებით) ყოველ ათას ახალშობილიდან საშუალოდ 10-30 ჩვილი ან იღუპება, ან მკვდრადშობა ხდება. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (განსაკუთრებით, ნორვეგიასა და მსგავს სახელმწიფოებში) წლის ბოლოსაც კი დაბადებული ბავშვებისათვის არსებობს სათანადო მზადყოფნა ჩვილის ჯანმრთელობის სრულყოფილად დასაცავად. თუ ვინმეს ბოლო პერიოდში უმოგზაურია საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, ყოველწლიურად მოსახლეობის ინტენსიურ კლებას შეამჩნევს, სავალალო პროგნოზი კეთდება: რაჭა-ლეჩხუმის სოფლების უმეტესობა დაიცლება დაახლოებით 2025 წლამდე. მე-20 საუკუნეში დაახლოებით 400 სოფელი საერთოდ დაიცალა, 21-ე საუკუნეში კი დაახლოებით 200-მდე სოფელი კიდევ გაქრება ასეთი დემოგრაფიული პროცესების გამო. სახელმწიფოს ძირითადად მაშინ ახსენდება ემიგრანტები, როცა არჩევნები ახლოვდება, მაგრამ არჩევნების შემდეგ მათ სამშობლოში ღირსეულად დაბრუნებაზე ნაკლებად იცხელებენ თავს. საქართველო თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მულტიეთნიკურ ქვეყნად, რასაც ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს თითქმის სახელმწიფოების ნახევარს გაეხსნა საზღვრები და ახლა უკვე რუსთაველის მეტროსთან ფერადკანიან მათხოვარსაც წააწყდები, ვითომც ჩვენი გამათხოვრებული თანამემამულეები არ კმაროდეს თავში ხელის შემოსარტყმელად. სომხებისაგან ვერ გადავიღეთ მაგალითი, რომლებმაც კომუნისტურ ეპოქაშიც მონოეთნიკურობა შეინარჩუნეს და ახლა კი მთელი მოსახლეობის 99% ყოფილა სომეხი. გლობალიზაცია ცალკე უტევს თვითმყოფადობას და ცალკე ამ საზღვრების გახსნით საქართველოს ბევრ კუთხეში ადვილად დამკვიდრდებიან ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც შეიძლება ოდესმე ისევე გაუჩნდეს ისეთი მისწრაფებები, როგორც აფხაზ და ოს სეპარატისტებს გაუჩნდათ. არანაკლებად საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს მრავალფეროვანი ნიადაგის „დამფასებელი" უცხოელები იჯარით თუ ყიდვით მთავარ რესურსს, მიწას, ხელში ჩაგდებისას უნებლიედ აცლის პირიდან ლუკმას ქართველებს. რუსეთმა იაპონელი და ჩინელი ინვესტორები ციმბირიდან გაყარა, რადგან წიწვოვნების მთლიანი ათვისების გარდა ნიადაგიც გაიტანეს (წიწვისგან-სკიპიდარი აწარმოეს, ფესვისა და ნაფოტებისგან — კბილის საჩიჩქნები, ნახერხისგან — პამპერსები, ძირითადი მერქანი კიდევ ათასი რამისთვის გამოიყენეს) და არანაკლები მდგომარეობა ექნება საქართველოს. ამბობენ, რომ ნიადაგი გააქვთ ნიდერლანდებშიც, რადგან ეს სამეფო მიწის (უფრო ნიადაგურ) დეფიციტს განიცდის. თუ საქართველო დარჩება ორი ძირითადი რესურსის (ადამიანური და მიწის) გარეშე, სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ფურცელსა და რუკაზე შემოგვრჩება. ამის პრევენციული ღონისძიება კი სწორი დემოგრაფიული პოლიტიკაა. იმედია, რომ იდეოლოგია „საქართველო ქართველების გარეშე" არასდროს განხორციელდება, იმედი ხომ ყველაზე გვიან კვდება...

როლანდ ხოჯანაშვილი

პაატა შავაძე:

„სოზარი უფრო პოპულისტია, ვიდრე — ხალხის მსახური"

საქართველოში ბევრი იცნობს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ანტიკორუფციული პალატის" თავმჯდომარეს პაატა შავაძეს. მასზე ორგვარად საუბრობენ. ერთნი თვლიან, რომ ის უკომპრომისო ადამიანია, მეორენი კი ამბობენ, რომ რეიტინგი არ აქვს, რადგან ბევრგან „ყოფს ცხვირს". ამ ინტერვიუში შავაძე პენიტენციარული სისტემის მიმართ გამოთქვამს პრეტენზიებს.

პაატა შავაძე

— ამჟამად თქვენი „სამიზნე" პენიტენციარული სისტემაა. რა თვისობრივი დანაშაულები გვხვდება საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?

— ჩემი „სამიზნე" ყოველთვის იყო, არის და დარჩება თვალსაჩინოდ მოუწესრიგებელი ყველა დარგი, ანუ დარგი, რომელიც აბსოლუტურად აღვირმიშვებულ თავისუფლებად არის ქცეული ხელმძღვანელის მხრიდან. დანაშაულობებზე მეკითხებით? როდესაც ხელისუფლების მხრიდან მქონდა საშუალება, მონიტორინგი განმეხორციელებინა დაწესებულებებში, მაშინ შემეძლო, საკუთარი თვალით დამენახა ყველაფერი და მემხილებინა იმდაგვარად, რომ არავინ დამენდო და არც არავის დავრიდებოდი (ვინც მიცნობს კარგად და ვინც აკვირდებოდა ჩემს საქმიანობას იმ დროს, როდესაც მონიტორის ფუნქციებით გახლდით აღჭურვილი, ვფიქრობ, სადავოდ არ და ვერ გახდის იმ გარემოებას, რომ დღე და ღამ ბათუმის მე-3 დაწესებულებაში ვიყავი და გათავისებული მქონდა ჩემი წილი პასუხისმგებლობა). ყველამ კარგად ვიცით და დამატებით ახსნას ნამდვილად არ საჭიროებს, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობა დამხვდა სასჯელაღსრულების ცალკეულ დაწესებულებებში, საკმაოდ ბევრი მანკიერება ვამხილე და რაღაც საკითხებში დამყარდა კიდეც წესრიგი, თუმცა ეს საკმარისი როდია. თამამად გეტყვით, რომ ბათუმის მე-3 დაწესებულებას არსებობის მანძილზე არ ჰყოლია ისეთი ცუდი და მოუწესრიგებელი ხელმძღვანელი, როგორიც ამჟამად ჰყავს თემურ ყურშუბაძის სახით. მიმაჩნია, რომ მას დაწესებულება, უბრალოდ, სულმნათ ბაბუას დანაშთ სამკვიდრო ქონებად აქვს წარმოდგენილი: ნათესავებით, ტოლ-მეგობრებით, ნათლიანათლულებით, სამხედრო ნაწილის ყოფილი გადამდგარი თუ გაგდებული მუშაკებით გაავსო ციხე და ღირსეული კადრები ისტორიის „სანაგვეში" გადაუძახა! აი, ეს და სხვა მრავალი, მისი მოღვაწეობის ერთგვარი ლაიტმოტივია.

ბევრი მაქვს სათქმელი კიდევ და პერიოდულად ვიტყვი კიდეც, არ დავერიდები. ცუდი ხელმძღვანელი რაც უფრო მალე წავა შინ, მით უფრო კმაყოფილი დარჩება საზოგადოებაც, ნეპოტისტების ადგილი საჯარო სამსახურებში არ უნდა იყოს.

სოზარ სუბარი, ამ ყველაფრის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას არ და ვერ უნდა იჩენდეს. როგორც მითხრეს, ყურშუბაძე მისი პროტეჟე და რჩეულია. პროტეჟეებისა და უადგილო ადგილას ადამიანების სადღაც-სადღაც გამწესების ხანა უნდა დავასრულოთ. სხვათაშორის, ის საქართველოს პარლამენტის წევრის, ფატი ხალვაშის, მაზლია... ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. დანაშაულობებზე მკითხეთ სისტემაში და გპასუხობთ: ალბათ, ტელეეკრანების საშუალებით ბოლო დროს საკმაოდ ბევრ ამაზრზენ ინფორმაციას ვიღებთ, საზოგადოების მაღალი ინტერესის საგანია ამ მოვლენებისადმი მყისიერი სამართლებრივი რეაგირება, ხოლო სუბარის კომენტარებით ვიგებთ, რომ მხილებული ჩინოსნები ყოველთვის მართლები არიან, საზოგადოება კი ტყუის. ასეთი მიდგომებით შორს ვერ წავალთ, ვერც მე, ვერც სოზარი და ვერც ღურწკაია.

ერთი სიტვით გეტყვით, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემა იყო, არის და რჩება ერთ-ერთ ყველაზე მეტად უმართავ, მოუწესრიგებელ და აღვირმიშვებულ სისტემად.

ვფიქრობ, სოზარმა ვერ გაამართლა. ეს ჩემი და არა მარტო ჩემი აზრია, ვისაც უნდა ეწყინოს, მაცივარში ცივი წყალი მუდამ მაქვს... ზღვაში წვეთია ეს ყველაფერი, რასაც თქვენ გეუბნებით და „რა ზნეც ამათ სჭირთა". მაყურებლები დაგვიტოვეს „ნაცებმაო"... შე კარგი ოჯახის შვილო, სადამდე უნდა იძახო „ნაცები" და „ფრიცები", ეს დამიტოვეს, ის დამიტოვეს... რომ დაგიტოვეს და ცუდები რომ იყვნენ, ამიტომ უთხრა მათ ქართველმა ხალხმა 2012 წლის მიწურულს ერთხმად უარი და ამიტომ ახვედი შენ ამხელა პედიესტალზე, ამიტომ გქვია მინისტრი, რომ „მაყურებლები" დაწესებულებათა დირექტორები უნდა იყვნენ ციხეებში და არა — პატიმრები! სამარცხვინოა იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებაში ცნობილი უფლებათადამცველები, ადვოკატები პარლამენტარებად თუ მინისტრებად გვევლინებოდნენ და ციხეებში ისევ ადამიანის უფლებების დაუცველობაზე იყოს საუბარი... გული მტკივა, უბრალოდ, რომ ამ სისტემას ნორმალური პატრონი არ ეღირსა!

— თქვენი აზრით, ციხეებში სიტუაციის გამოსასწორებლად რა არის საჭირო?

— ციხეებში სიტუაციის გასაუმჯობესებლად, პირველ ყოვლისა, საჭირო და აუცილებელია საკადრო ცვლილებები და თანაც — ძირეული! სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან დირექტორები და შემდგომ მათი მოადგილეები; მათ ადგილებზე მკაცრი კონკურსის წესით უნდა შეირჩნენ კანდიდატურები და არა — ნეპოტისტური პრინციპებით. პატიმართა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უნდა იქცეს პრიორიტეტულ მიმართულებად ამ სისტემაში. ციხეების დირექტორები 40 000 აშშ დოლარად ღირებული „პრადოებით" არ უნდა გრიალებდნენ, მათ ეს არ დაუმსახურებიათ და არც სჭირდებათ. ამ ფუფუნებაში ბიუჯეტის თანხების ხარჯვა ფუჭი ღონისძიებაა, ამასთან, ვფიქრობ, სისტემაში ისევ მუშაობენ „ნაცმოელთა" მხრიდან ჩანერგილი უკუღმართი და სადომანიით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც თითქოს გამოკეთილშობილებულან ახლა და „უფლებადამცველებად" მოაქვთ თავი! მინისტრი იმისა ხარ, რომ ასეთი საკითხებით უნდა ინტერესდებოდე და თუ ინტერესდები და შედეგი მაინც იგივე გაქვს, სახლში უნდა წახვიდე!

საერთოდ, სისტემაში კადრები პროფესიონალიზმისა და დამსახურების შესაბამისად უნდა შეირჩეს. მაგალითისათვის გეტყვით, უბრალოდ, მაინტერესებს, ბათუმის დაწესებულების დირექტორის მოადგილე, შოთა ტორაძე, რა დამსახურებით დააწინაურეს თბილისში, დეპარტამენტში. ამიხსნან, თანასწორთა შორის რით გამოირჩა, და კიდევ ერთი რამ — როგორც არასდროს, ისე და სოზარის მინისტრობისას, ჩემს მიერ მის უწყებაში გაგზავნილ არცერთ წერილზე პასუხი, უბრალოდ, არ მიმიღია, რაც ჩემში კიდევ უფრო აღრმავებს შთაბეჭდილებას იმისას, რომ სისტემაში საქმისწარმოების ერთიანი წესების არსებობის თაობაზეც არავინ არაფერი იცის... ვინც აუგდიათ, ის აიგდონ, მე ისინი ვერ ამიგდებენ, უბრალოდ, „ცა ქუდად აღარ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად". ჰგონიათ, რომ ეს ქვეყანა მათია და ვიღაცამ აჩუქათ, მე კი ასეთ სისტემაზე და ასეთ ხელმძღვანელებზე ნამდვილად არ მიოცნებია...

— ჩამოთვალეთ რამდენიმე კონკრეტული ფაქტი, რომელიც ბოლო პერიოდში შეგხვდათ ციხეებში...

— სუბარის უწყებაში სასტიკად აღიზიანებთ სიტყვა „მონიტორინგი". პირადად, როდესაც მონიტორინგს ვახორციელებდი, დღე და ღამ დაწესებულებაში ვიყავი და, აბა, ერთი ვინმეს გაებედა და დაერღვია კანონმდებლობის მოთხოვნები. იყო შემთხვევები ბათუმის №3 დაწესებულებაში, თუმცა რეაგირებაც მყისიერად ხორციელდებოდა. მონიტორებს შორის, სამწუხაროდ, ერივნენ უღირსი და წარყვნილი რეპუტაციის მქონე ადამიანებიც, რომლებიც მონიტორის ფუნქციებს თავიანთი მზაკვრული მიზნებისათვის იყენებდნენ და წესიერ ადამიანებს ჩირქს გვცხებდნენ. ამას კი შედეგად მოჰყვა ჩვენი ჯგუფის დაშლა, რითაც სისტემას არც არაფერი მოუგია, პირიქით, სწორედ ჩვენი ჯგუფის გამოყვანის შემდეგაა, რაც საშინელებებს ვისმენთ ტელევიზიის საშუალებით და ვკითხულობთ პრესაში. ლალი მოროშკინას შესაფასებელი რომ დარჩა მონიტორინგის ჯგუფის არსებობა — არ არსებობის თემა და საკითხი, ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია! ვის წისქვილზე ასხამდა წყალს ჩვენი ჯგუფისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, არავის მოსწონს დღეს სიმართლის თქმა, თუმცა, მეც „ცხენი მუდამ შეკაზმული მყავს".

— სოზარ სუბარს დიდი გამოცდილება აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. მისი, როგორც მინისტრის, პასუხისმგებლობის საკითხს რატომ აყენებთ?

— სოზარ სუბარს ვიწვევ ტელედებატებში. სოზარს, მართალია, დიდი გამოცდილება აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, თუმცა ვთვლი, რომ მან ვერ გაამართლა ხალხის ნდობა და ვერ უზრუნველყო სისტემის მოდერნიზაცია იმ დონეზე მაინც, რომ პატიმართა უფლებების დაცვაზე კვლავ არ არსებობდეს საზოგადოებისაგან საყვედური. მართალია. მის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს პატიმართა უფლებების დარვევა, თუმცა, პატიმართა უფლებების დაცვა და სისტემის საერთაშორისო დონეზე იმპლემენტაცია რომ მის ინტერესში შედის, ამაში ვერაფრით დაგვარწმუნა. მისი მუშაობის კმაყოფილი დიდად არც სახალხო დამცველად მუშაობის პერიოდში ვიყავი. მას ერთხელ, როგორც უფლებათდამცველმა, წერილობით მივმართე და ბათუმის პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების მუშაკთა მხრიდან დაკავებული პირისადმი ცემისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები ვამცნე, რეაგირება მოვითხოვე, პასუხად კი, იცით, რა მივიღე? თურმე ჩემი წერილი საქართველოს იმჟამინდელ გენპროკურორ ადეიშვილს გაეგზავნა, მისთვის შეკითხვით მიუმართავთ: მართალი იყო თუ არა, რასაც ვწერდი მიმართვაში. რა თქმა უნდა, პროკურატურამ უარყო ყველაფერი, როგორც ჩვეოდათ. საპასუხო წერილი სახალხო დამცველის აპარატის იმჟამინდელმა გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა, იმნაძემ, მომწერა. ეს ის იმნაძე გახლავთ, სხვათაშორის, რომელსაც ახალი ხელისუფლების პირობებში, სახალხო დამცველის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენზიები ჰქონდა! სასაცილოა და გულისამრევი პირდაპირ. ჰოდა, აი, ასე მუშაობდა სახალხო დამცველის აპარატი და ასე მუშაობს ბატონი სოზარიც ამჟამად. განსჯა საზოგადოებისათვის მიმინდვია. „პრადოთი" სეირნობა კარგია, მაგრამ მე მის ადგილას რომ ვიყო, საქმეს გავაკეთებდი და ფეხით ვივლიდი. სოზარი უფრო პოპულისტია, ვიდრე ხალხის მსახური, მე ასე ვთვლი ყოველ შემთხვევაში და ჩემი აზრის გამოსათქმელად ნებართვას არავისაგან ვიღებ. სისტემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიწმინდოს მანკიერი მხარეებისაგან და ოქტომბრიდან დღემდე საკმაო დრო გავიდა, სისტემას ხელმძღვანელის მზრუნველი ხელი უნდა ეტყობოდეს უკვე.

— სოზარს პირადად ვიცნობ და ერთად ისეთ დანაშაულს შევჭიდებივართ, რომლის დაძლევაში, მართალი გითხრათ, ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. სიტუაციის და საქმის გასარკვევად თავადაც და მისი წარმომადგენლობაც ბევრჯერ მივიდა ერთ ზემოიმერულ სოფელში და სიმართლემ გაიმარჯვა...

— ამ სტრიქონების წამკითხველ სოზარს თუ რაიმე კითხვის ნიშანი გაუჩნდება გულში და გაიკვირვებს, თუ რატომ ვაძლევ ასეთ უარყოფით შეფასებას მის მოღვაწეობას საქართველოს მთავრობაში, დამიკავშირდეს პირადად ან თავისსავე მისაღებიდან ქსენიას მეშვეობით (პირად მდივანზე მაქვს საუბარი) და ტელედებატებში მოვიწვევ, საჯაროდ ვამხელ მისი მოღვაწეობის ყველა მანკიერებას! და ბოლოს, შეიძლება ახლა მავანმა ენა მოიჩლიქოს და განაცხადოს: კი მაგრამ, ციხეებში მანკიერებებს წინა ხელისუფლების პირობებში რომ ჰქონდა ადგილი, ისეთი უნდოდა და ახლა რაღა გრჯისო. თუმცა, პასუხი მათთვისაც მაქვს მზად: ოჯახაშენებულო, ის მანკიერებები რომ არ მოგვწონდა, ამიტომაც დავგმეთ და ამიტომაც შევცვალეთ ხელისუფლება. შენ (სოზარ) იმისათვის მოგიყვანეთ, რომ უკეთესად წარმართო საქმე, უმაქნისად თუ მოიქცევი, შენაც იმავე ბედს გაიზიარებ, რასაც შენი წინამორბედები! ასე, რომ თავის მართლება: „გვაცალეთ, ბატონოს" ძახილით, შორს ვეღარ წაგვიყვანს!

ვერ დაგაცდით, ბატონო! წელიწადი შეგისრულდათ და გვაჩვენეთ, რა აკეთეთ, რის გაკეთება შეძელით და რისი — ვერა!

როლანდ ხოჯანაშვილი

გოგი წულაია: „ქუთაისი არ უნდა დაემსგავსოს ასაფეთქებენ ბომბს"

პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის წევრებმა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ჭავჭავაძის გამზირზე ახალი გაზგასამართი სადგურის მშენებლობა გააპროტესტეს. პარტიის იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის გოგი წულაიას განცხადებით, „ვისოლის" გაზგასამართი სადგურის მშენებლობის გამო ჭავჭავაძის გამზირზე ასწლოვან ხეებს ჭრიან.

„ჭავჭავაძეზე, სადაც არის „ვისოლის", „ტოტალის", „რომპეტროლის" და კიდევ სხვა კომპანიების ბენზინგასამართი სადგურები, ახალი გაზგასამართი სადგური ემატება, რისთვისაც ქალაქში არსებულ მწვანე საფარს ანადგურებენ. ნორმალურ ქალაქში ასე უპრაკონოდ „კალონკების" გახსნა არ უნდა ხდებოდეს და ქალაქი არ უნდა დაემგვანოს ერთ დიდ ასაფეთქებელ ბომბს. მოსახლეობა შეშინებულია ამ ფაქტის გამო. სამწუხაროა, რომ ქალაქს განაშენიანების და უსაფრთხოების გეგმა არ აქვს. წინა ხელისუფლების დროს ზარებით და ნაცნობობით გვარდებოდა საქმე. შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ ვითარება არ შეცვლილა. მოვუწოდებ ქუთაისის მერიას და საკრებულოს მიიღოს დადგენილება, რამდენი ბენზინგასამართი სადგური გვჭირდება ამ ქალაქში! საკრებულოს წევრები მერის იმპიჩმენტით რომ იმუქრებიან, სჯობია, თავად გადადგნენ, რადგან საქმეს მაინც არავინ აკეთებს," — აცხადებს გოგი წულაია.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

„ჩვენს თეატრს საერთაშორისო კლასის თეატრად ვაქცევთ"

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და გენერალური დირექტორის წარდგენა ოფიციალურად 13 სექტემბერს მოხდა.

როგორც თეატრის დირექტორი ხატია ვედმედევა psnews.ge-სთან საუბრისას ამბობს, მინისტრმა მათი დანიშვნის შესახებ შესაბამის ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა.

„ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ მე ვარ თეატრის გენერალური დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელად კი გიორგი ჭიჭინაძე დაინიშნა. უკვე შევუცვალეთ სახელწოდება თეატრს. მას ამიერიდან „ქუთაისის ბალანჩივაძეების ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრი" ერქმევა. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე საზოგადოებას შემიძლია დავპირდე, არის ის, რომ ქუთაისის თეატრს ნამდვილად ვაქცევთ საერთაშორისო კლასის თეატრად," — აცხადებს ხატია მედვედევა.

ვედმედევამ პოსტზე როზა დვალიშვილი შეცვალა.

მარი პატარაია
psnews.ge

ხატია ვედმედევა

„რთველი 2013" შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს

საქართველოში რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. მოსახლეობა ყურძენს ყოველგვარი პრობლემის გარეშე აბარებს. რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით გახსნილია საკოორდინაციო შტაბი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს რთველის პროცესს.

„რთველი 2013" დედოფლისწყაროდან დაიწყო. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში **გივი გიგაური** ამბობს, რთველი შესანიშნავად მიმდინარეობს. კარგად არის ორგანიზებული და არავითარი შეფერხება არ არსებობს. გახსნილი ქარხნები დედოფლისწყაროშიც ფუნქციონირებს და ამ ყველაფერს მონიტორინგს უწევს, როგორც ღვინის ეროვნული სააგენტო, ასევე — საკოორდინაციო შტაბი: „ჩვენთან რთველი 26 აგვისტოს დაიწყო, ასეთი ჯიშით — მიწკაპით და 30 აგვისტოს საფერავის კრეფით გაგრძელდა. 866 ტონა რქაწითელი გვაქვს დაკრეფილი; საფერავი — 1379 ტონა. ფასები ერთი ლარის ფარგლებში მერყეობს. წელს, მოგეხსენებათ, სამი ჯიშის სუბსიდირება მოხდა სახელმწიფოს მხრიდან — ეს ჯიშებია: საფერავი, რქაწითელი და კახური მწვანე, როგორც ჩვენ ვეძახით. სხვა ჯიშებითაც, ე.წ. სუფრის ჯიშებითაც არიან დაინტერესებული კერძო კომპანიები. ეს გამოწვეულია იმ სწორი ნაბიჯებით, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გადადგა რუსეთთან მიმართებაში. ეს უკვე შესამჩნევად აისახა წლევანდელ რთველზე. შარშან, მაგალითად, მუსკატის ჯიშის ყურძენზე საერთოდ რომ არ იყო მოთხოვნა, ან თუ იყო, ძალიან დაბალ ფასებში იბარებდნენ, წელს თვითონ კერძო კომპანიებმა აიღეს ერთ ლარად, ოღონდ არავითარი სუბსიდია არ გაკეთებულა მასზე. ეს გამოიწვია ახალი გასაღების ბაზრის გახსნამ.

სახელმწიფომ შეფერხებების თავიდან ასაცილებლად შეიმუშავა სპეციალური პროგრამა და თვითონაც სარეზერვო ქარხანა გახსნა, დასეტყვილი, ან სხვა რამის გამო წუნდებული ყურძენი ჩაბარების გარეშე რომ არ დარჩენილიყო. რაც შეეხება ყურძნის ტრანსპორტირებას, თვითონ კომპანიებმა გასწიეს ამაზე ხარჯები. დედოფლისწყაროში ტრანსპორტირებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ თვითონ დიდი რაიონია და დიდი ხარჯი გამოდის მეპატრონეებისთვის", — ამბობს გივი გიგაური.

რთველის პროცესის ნორმალურად მიმდინარეობაზე საუბრობენ ღვინის კომპანიებიც. **ზურაბ გოლეთიანის** კომპანია შპს „კახური" კახეთში, ყვარლის რაიონში, ერთ ქარხანას ფლობს, სადაც ხდება ყურძნის მიღება-გადამუშავება. თუმცა, კომპანია, ფაქტობრივად, კახეთის ყველა რეგიონიდან იღებს ყურძენს: „რთველის პროცესი ნორმალურად მიდის. ჩვენი მოთხოვნა მოსახლეობის მიმართ არის ის, რომ უნდა მოიტანონ კონდიციური და შაქრის მაღალი შემცველობის ყურძენი; უნდა იყოს ხარისხიანი და დაუზიანებელი. ყველა კომპანია ცდილობს, შეიძინოს იმ რაოდენობის და ფასის ყურძენი, რომელიც მას აქვს მიზნად დასახული. ყურძენს დედოფლისწყაროდან და სიღნაღიდან ვიღებთ. ამ რეგიონებში სიმწიფეში უფრო ადრე შედის ყურძენი. შემდეგ სხვა რეგიონებიდანაც: ყვარელი, გურჯაანი და ა.შ. ყურძნის ტრანსპორტირება კი მოლაპარაკების ამბავია. ზოგს თავად მოაქვს, ზოგს ჩვენ ვუგზავნით ტრანსპორტს. ჩვენს ქარხანაში, ყვარელში, ხდება ამ ყურძნის ხარისხის დადგენა, შემდეგ აწონვა და ჩაბარება", — ამბობს ზურაბ გოლეთიანი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2013 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით, ყურძნის სავარაუდო შესყიდვაზე განაცხადის ფორმა წარმოადგინა 85 კომპანიამ. 2013 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით ხელშეკრულება სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული აქვს 45 კომპანიას. მათ შორისაა, კომპანია „ბაგრატიონიც". მისი გენერალური დირექტორის **გიორგი რამიშვილის** თქმით, ყველა პროგრამით ისარგებლეს, რაც მთავრობამ შესთავაზა: „სესხებიც გამოვიყენეთ და სუბსიდირებაც. ყურძენს ვიბარებთ სოფელ ჩალაუბნიდან და ნუკრიანიდან (სიღნაღის რაიონი). რქაწითელი ჩავიბარეთ ერთ ლარად. ამაში დაგვეხმარა სწორედ სახელმწიფოს სუბსიდია".

რთველის მიმდინარეობის პროცესს დადებითად აფასებს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი **ლევან დავითაშვილი,** რომელიც ამავე დროს საკოორდინაციო შტაბს უდგას სათავეში: „რთველი 2013" შეფერხებების გარეშე, ნორმალურად მიმდინარეობს. 44 კომპანია იბარებს ყოველდღე ყურძენს. ზოგადად, სტაბილურობაა. დედოფლისწყაროში, ფაქტობრივად, დასრულებისკენ მიდის. ახლა სიღნაღია ყველაზე აქტიური. შემდეგ გურჯაანი, წინანდალი, თელავი, ყვარელი და ახმეტა დაემატება. სახელმწიფო ქარხნებს, დაახლოებით, 700 ტონამდე აქვთ მიღებული პრობლემური ყურძენი. მე ვფიქრობ, ერთ-ერთი გამორჩეულად კარგად მიმდინარე რთველია, რაც ბოლო წლებში იყო. შეიძლება მცირე რიგები იყოს, რამდენიმე საათიანი. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ყურძნის გატარებას თავისი დრო უნდა. ეს რთველის თანმდევი პროცესია", — აცხადებს ლევან დავითაშვილი.

ლევან დავითაშვილი ღვინის ერთ-ერთ ქარხანაში

ილო მიქაუტაძე

რაც შეეხება მოსახლეობას, წლევანდელი რთველით უკმაყოფილოები არ არიან. ყვარლის რაიონის სოფელ ბალღოჯიანის მცხოვრების **ილო მიქაუტაძის** თქმით, მის გარშემო არავის გამოუთქვამს რაიმე საყვედური რთველის შესახებ: „ჩვენთან ჯერ საფერავი იკრიფება. ძალიან დაძაბული რთველი არ არის. საწარმოებს, ძირითადად, შაქრიანობაზე აქვთ მოთხოვნა. ამიტომ ჩვენთან შავი ყურძნის მეტი ჯერ არ იკრიფება. ფასის და ტრანსპორტირების ამბავიც არ ქმნის პრობლემას".

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში მცხოვრებმა **ვაჟა ბაწელაშვილმა** ყურძენი უკვე ჩააბარა. მისი თქმით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა: „მე, ძირითადად, მაქვს შავი ყურძენი. დავკრიფე და წინანდლის ღვინის ქარხანას უკვე ჩავაბარე — 1კგ ყურძენი ლარად და 10 თეთრად. შეფერხება არ ყოფილა. ტრანსპორტის ხარჯები მე გადავიხადე და ამიტომ ლარი და 10 თეთრი შემომთავაზეს ყურძენში. ლარად და 5 თეთრად თუ აიტანდი, ტრანსპორტის ფულს გაძლევდნენ. თუ ლარს და 10 თეთრს გადაგიხდიდნენ, იმ შემთხვევაში ტრანსპორტი შენი უნდა ყოფილიყო. ჩემთვის უფრო მომგებიანი იყო, მე თვითონ ჩამეტანა საწარმოში და ასეც გავაკეთე".

როგორც ცნობილია, ახალი ბაზრის გახსნამ ღვინის კომპანიებს დიდი სტიმული მისცა მეტი რაოდენობის ყურძნის ჩასაბარებლად. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითისთვის, 2013 წლის აგვისტოს თვეში 5 557 879 ბოთლი იქნა ექსპორტირებული 17 ქვეყანაში, მაშინ, როცა 2012 წლის აგვისტოს თვეში სულ 2 227 681 ბოთლის ექსპორტი განხორციელდა.

რაც შეეხება ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველ ხუთეულს, იგი შემდეგნაირად გამოიყურება: უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, ბელორუსია და პოლონეთი, სადაც უკრაინა ლიდერობს 35%-ით ექსპორტის მთლიან მოცულობაში, 2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით. ჩინეთი და ლატვია ექსპორტის მოცულობით მე-6 მე-7 ადგილზეა. ექსპორტმა რუსეთში 2013 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით სულ 7 347 826 ბოთლი შეადგინა.

რაც შეეხება რთველის მიმდინარეობას 2013 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით, კახეთის რეგიონში ყურძენი 44 კომპანიის მიერ იქნა გადამუშავებული. ყურძენი კომპანიების მიერ გადამუშავებულია შემდეგ რაიონებში: ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი.

ტრანსპორტის სფეროს „ძველი“ ლობისტები ახალი გეგმებით

მძღოლები საჯაროდ სდებენ ბრალს გოჩა თევდორაძეს და გიორგი თევდორაძეს

პირველი გვერდიდან

„რამდენიმე სვლაგეზი უკვე ვიცით, რომლის გახსნასაც აპირებენ. რაიონებიდან ქალაქში შემომავალი ხაზების გახსნას გეგმავენ, რაც მგზავრთა ნაკადს საგრძნობლად შეამცირებს და, საერთოდ, აღარ ეღირება ჩვენი მუშაობა. რაც, ზუსტად ვიცით, ის არის, რომ უნდათ, გეგუთის ციხიდან ქუთაისის მეორე საპყრობილემდე გააკეთონ ახალი მარშრუტი. ქვიტირიდან აპირებენ კიდევ ხაზის გახსნას, მაგრამ ჯერ არ ვიცით ზუსტად, რა მიმართულებით. მთელი სქემა აქვთ უკვე შემუშავებული და ერთადერთი მიზანი მაგათი ის არის, რომ საერთოდ გააუქმონ ავტობუსები,“ – ამბობს ერთ-ერთი მძღოლი **თემურ ბილისეიშვილი**.

„თავის დროზე იძულებით ჩამოგვაყვანინეს ავტობუსები. არავის სურდა ასეთი ძვირიანი მანქანების ყიდვა, რადგან ხალხი აღარ ცხოვრობს ქალაქში და აღარც შემოსავალი მოაქვს 30 თეთრიან ტრანსპორტს. მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვეს, თან გვპირდებოდნენ, მარშრუტებს არ დავამატებთო. ახლა კი ამბობენ, ავტობუსები აღარ გვჭირდებაო. ეს ყველაფერი არის ერთი ადამიანის სურვილი. გოჩა თევდორაძე ცდილობს, საარსებო წყარო შეინარჩუნოს, ჩვენი გასაჭირი კი არ აინტერესებს. ტრანსპორტის სამსახურთანაც და მთელ საკრებულოსთან არის შეკრული. ხომ უნდა დასრულდეს ოდესმე ამ ადამიანის მმართველობა ქუთაისში?“ — აცხადებს **ლონგინოზ ლილუაშვილი**.

„ახლა არ დაწყებულა ეს პრობლემები მძღოლებსა და თევდორაძეებს შორის. პირადად მე ვიყავი გიორგი თევდორაძესთან მოლაპარაკებაზე, როცა ის ქალაქის მერი იყო და პირდაპირ მითხრა, ეგ მიკროავტობუსები, რომელთა არსებობასაც თქვენ აპროტესტებთ, ჩემიაო,“ – თქვა ერთ-ერთმა მძღოლმა, რომლის ვინაობასაც მისივე თხოვნით არ ვასახელებთ.

ბრალდებები, რომელზეც ახლა უკვე თავად ტრანსპორტის სფეროს წარმომადგენლებიც საუბრობენ, მრავალჯერ გაისმა პოლიტიკური წრეებისა თუ ადგილობრივი მედიის საშუალებით, თუმცა, ბრალდების ადრესატები ქალაქში ბიზნესწილების ფლობას ყოველთვის უარყოფდნენ.

როგორც თავად ტრანსპორტის სფეროს წარმომადგენლები ამბობენ, ავტობუსების მიკროავტობუსებით ჩანაცვლების მორიგი თევდორაძისეული სქემის განხორციელება განვითარებულმა მოვლენებმა დროებით შეაფერხა, რადგან, მძღოლების სამდღიანი პროტესტის შემდეგ, ხაზი გაუქმდა. თუმცა, მათივე თქმით, თევდორაძეს ავტობუსების გაუქმება საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი.

მარი პატარაია

საფიჩხიის მოსახლეობა მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს

ორი ათეული წელია, საფიჩხიაზე, მიზანდარის ქუჩაზე, მოსახლეობა მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს. ღვარსადენის არარსებობის გამო, მეწყერის საფრთხე აქ ყოველი წვიმის შემდეგ იზრდება.

საფიჩხიაზე დახრილი რელიეფი ძლიერი ნალექის პირობებში მუდმივად ირეცხება და, როგორც ადგილობრივები ამბობენ, მიწამ მცოცავი თვისება შეიძინა. ქუჩაზე დამატებით პრობლემას ქმნის ამორტიზებული ბუნებრივი კანალიზაცია, რომელიც, ბოლო ოთხი წელია, მოსახლეობისთვის უმთავრესი პრობლემა გახდა. ყოველდღიური საფრთხის პირობებში მცხოვრები მიზანდარის ქუჩის მცხოვრებლები ადგილობრივი თვითმმართველობისგან დახმარებას ითხოვენ.

„რამდენი წელია, ამ პრობლემის მოგვარებას ვითხოვთ. მოდიან, დახედავენ სიტუაციას და მიდიან. ამ დრომდე დაპირებაც კი არ მიგვიღია, რომ მოგვხედავენ. გაიძახიან მხოლოდ იმას, შევისწავლით მდგომარეობასო, მაგრამ წლები გადის, ჩვენ კი ყოველდღე მეწყერის საფრთხის ქვეშ ვცხოვრობთ,“ — აცხადებს მიზანდარის ქუჩის მცხოვრები **მადონა ლომთაძე.**

„ყველაზე მთავარ პრობლემად ჩვენთვის უკვე კანალიზაციის მოწესრიგება გახდა. აქ ადრე იყო ბუნებრივი კანალიზაციის სისტემა, და ოთხი ქუჩა ვსარგებლობდით, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩაინგრა და გაჩნდა დიდი ორმო. ყოველი წვიმის შემდეგ კი მიწა ირეცხება და რამდენიმე ოჯახი საშიშ ზონაში ვცხოვრობთ, იტბორება ეზოები, გაუსაძლისი ვითარებაა. ამორტიზებული კანალიზაციის გამო გვაწუხებს აუტანელი სუნი და მწერები. ყოველი არჩევნების წინ იყო დაპირება, რომ პრობლემა მოგვარდებოდა, მაგრამ დანაპირები არ სრულდება. მოდით და ნახეთ, 21-ე საუკუნეში, საპარლამენტო ქალაქში რა პირობებში ცხოვრობს ხალხი. გზაც კი არ გვაქვს. 150 მეტრზე ვერ დაგვიგეს ასფალტი,“ — ამბობს **თამაზ მირიანაშვილი.**

მიზანდარის ქუჩაზე არსებული ვითარება ცნობილია ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურისთვის, თუმცა, ჩვენი არაერთი მიმართვის შემდეგაც, სამსახურის ახალმა ხელმძღვანელობამ პრობლემის ადგილზე გაცნობა არ ისურვა.

სამსახურში განმარტავენ მხოლოდ იმას, რომ საფიჩხიაზე არათანაბარი რელიეფია, რის გამოც, მიზანდარის ქუჩაზე კანალიზაციისა და ღვარსადენის გაკეთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

მარი პატარაია
psnews.ge

შევუგროვოთ წიგნები პერევის ბიბლიოთეკას!

პერევი საჩხერის განაპირა სოფელია, რომელიც სამხრეთ ოსეთის (გინდა — სამაჩაბლოს, გინდა — ერთ-ერთი ოკუპირებული ტერიტორიის) მესაზღვრეა. ადმინისტრაციული ხაზი პირობითად მდინარეს მიუყვება. პერევი გამორჩეული სოფელია, აქ შსს-ს საგუშაგოცაა, პოლიციის განყოფილებაც, მუდმივი შიშის მოლოდინიც, ახალგაზრდა ექიმი ქალიც, თავდაუზოგავი ამირან შუკაკიძეც, რომელიც ყველანაირად ცდილობს, სოფელი არ დაიცალოს. ერთი ამირანი (რომელიც ჩემს თვალში გმირია რიგი თვისებებისა და ქმედებების გამო) სოფლის დაცლის გააფთრებული მოწინააღმდეგეა, თუმცა მისი ასეთ საქმეში მარტო მიტოვება დანაშაულის ტოლფასია. პერევს გვერდით უნდა დაუდგეს ერი და ბერიც, რადგან აქაური თითო ოჯახი ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი ჯავშანტექნიკა.

სოფელს ახალგაზრდა მედპერსონალი ჰყავს, რომელიც „იქეთურებსაც“ ემსახურება. აქ არავინ არჩევს ოსსა და ქართველს. პერევლები დანანებით იხსენებენ ლამაზ ნათესაურ ურთიერთობებს, რომელიც, ძალაუნებურად, რუსეთმა გააცამტვერა. სოფელში სკოლაც რემონტდება, საკრებულოს თავმჯდომარეც ხშირად აკითხავს მათ... მიწის ნაკლებობა რომ არა, პერევს ბევრი სოფელი ვერ შეედრება ვერც სილამაზით და ვერც სიჯანსაღით. პატარა ბიბლიოთეკა, რომელსაც წიგნადი ფონდი ძალიან მწირი აქვს, მუდმივად მკითხველის მასპინძელია. პოლიციის მუშაკები, სოფლის მოსახლეობა ხშირად აკითხავს ბიბლიოთეკარს, რომელიც მიზერული ხელფასით მუშაობს.

წიგნების რაოდენობის სიმცირე ადვილი „დასამარცხებელია“, ჩვენ ყველას შეგვიძლია, თითო წიგნი ჩვენი ბიბლიოთეკიდან ავიღოთ, რომელიმე მითითებულ ადგილას მივიტანოთ და შემდეგ ერთიანად გადავცეთ პატარა სოფლის პატარა ბიბლიოთეკას. რადგან უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა, ჩვენ, ქართველები კი უშურველი ხელგაშლილობით გამოვირჩევით, ამ ისრის დაგრძელებისათვის მარტივ და კარგ აქციაში უნდა ჩავერთოთ: ქუთაისში — გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ რედაქციაში და თბილისში კი — ეროვნულ ბიბლიოთეკაში მივიტანთ წიგნებს, მერე ერთ მშვენიერ დღეს გადავცემთ პერევის ბიბლიოთეკას (სხვათაშორის, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი კეკელიძეც, აპირებს წიგნების „ჩამოყოლას“ თბილისიდან). თავად დავიწყებ ამას, ჩემს მწირ ბიბლიოთეკას ერთხელ კიდევ გადავავლებ თვალს, რამდენიმე გამორჩეულ წიგნს ავიღებ, დანანებით, მაგრამ მაინც გავიმეტებ პერევის ბიბლიოთეკისთვის. თქვენც, ხომ?

მაშ, ასე, ვიწყებთ სოციალურ აქციას: წიგნები პერევის ბიბლიოთეკისათვის!

როლანდ ხოჯანაშვილი

დემურ გიორხელიძე:

საქართველო არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო

„ქართული ოცნების" კიდევ ერთი დაპირება, რომ ბიზნესი წნეხისგან გათავისუფლდებოდა, არ შესრულდა. იგი კვლავ მონოპოლიზებულია და ისევ ძველი კანონებით იმართება, რასაც პირად საუბრებში თავად ბიზნესმენებიც აღიარებენ და რაზეც ექსპერტებიც თამამად საუბრობენ. ეკონომიკა წინ არ მიდის, ან ნელა ვითარდება... არადა, სულ სხვა მოლოდინი იყო. არის თუ არა ეკონომიკაში სტაგნაცია? რა ნაბიჯები გადაიდგა ბიზნესის განვითარებისთვის და არის თუ არა ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენცია? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს" ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრა.

დემურ გიორხელიძე

— ბატონო დემურ, ეკონომიკაში ცუდად ვერკვევი, ვიცი მხოლოდ ის, რა თანხა მიდევს ჯიბეში და რისთვის მეყოფა. ჩემისთანა მკითხველმა რომ კარგად გაიგოს,ისე აგვიხსენით, რა ვითარებაა დღეს ქართულ ეკონომიკაში და არის თუ არა სტაგნაცია?

— სტაგნაცია ზრდის შეჩერებას ნიშნავს. ზრდა არის, მაგრამ დაბალი. რატომ არის ზრდის დაბალი ტემპი, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ისაა, რომ გრძელდება ის მანკიერი ეკონომიკა, რომელსაც წინა ხელისუფლება ატარებდა, რაც არ შეიძლებოდა და ამას მოვუწოდებდი კიდეც ახალ ხელისუფლებას. მათ უნდა ჰქონოდათ გამბედაობა იმისა, რომ ვარდნაზე წასულიყვნენ, რადგან, რაიმეს ახალ რელსებზე გადაწყობა თუ გინდა, ბუნებრივია, შეფერხებები იქნება. სამწუხაროდ, მთავრობა არაენერგიულად და არაკომპლექსურად მოქმედებდა, რაც ზრდის ტემპზე აისახა კიდეც.

— რაში გამოიხატებოდა მათი არაკომპლექსური მოქმედება?

— პირველი უდიდესი მოლოდინი ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად იყო კერძო ინიციატივების რეალიზაცია, რომელიც ათიათასობით მოქალაქეს აქვს. კერძოდ, მათ უნდათ დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა, სამუშაო ადგილები, ბიზნესი, მაგრამ ამისთვის ათი თვის განმავლობაში მთავრობას არაფერი გაუკეთებია. არანაირი ინსტიტუციონალური ცვლილებები, არანაირი ინიციატივა ამ მიმართულებით არ გამოუჩენია. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პირველი ნაბიჯებიც კი არ ჩანს. არადა, სწორედ ეს იყო სფერო, რომელიც უზრუნველყოფდა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებას და იმედს გაუჩენდა უამრავ ადამიანს, რომ ნელ-ნელა ბიზნესი განვითარდებოდა და სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა.

— სახელმწიფოს ეს როგორ უნდა გაეკეთებინა, თანხა თავად უნდა გამოეყო?

— საქართველოში ნომერ პირველი პრობლემა არის ფინანსების ხელმიუწვდომლობა. მახინჯი საბანკო სისტემის პირობებში, შეუძლებელია სტარტ-აპი, ანუ ბიზნესის დაფინანსება. ჩვენ ვართ მთელს მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო, რომელშიც ასეთი რამ ხდება. სხვა ქვეყნებში არსებობს განტოტვილი ფინანსური სისტემა, რომლებშიც ჩართულები არიან ინსტიტუციონალური ინვესტორები; საპენსიო, საპაიო ფონდები გრძელვადიან ფულს იძლევიან. არის სტრუქტურა, რომელიც უწევს დამწყებ ბიზნესს კონსულტაციებს, ეხმარება შეღავათიანი კრედიტების მიღებაში, უცხადებს მხარდაჭერას თანადაფინანსებაში, იმ დროიდან, ვიდრე ფეხზე დადგომას შეძლებს. არსებობს ინკუბატორები, სტრუქტურები. ამერიკაში არის მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრაცია, რომლის ხელმძღვანელსაც ამერიკის პრეზიდენტი ნიშნავს.

ჩვენ ვთავაზობდით ბატონ ბიძინას, ეროვნული, გამორჩეული სტრუქტურა შეექმნათ, რომელიც იქნებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის პარტნიორი ორგანიზაცია და მსურველებს იურიდიულ, ფინანსურ, ინკუბატორულ დახმარებას გაუწევდა, მაგრამ არაფერი გაკეთებულა.

— აქ თქვენი ოპონენტი რომ იჯდეს, ალბათ, გეტყოდათ, გვაცადეთ, ჯერ ძალიან ცოტა დრო გავიდა საამისოდო...

— ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ წლები ვაცადოთ მთავრობას; არც იმის ფუფუნება გვაქვს, მთავრობას მოვუწონოთ, მისთვის კოჰაბიტაცია უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეკონომიკური ცვლილებები; ეს არის მათი პოლიტიკური შეცდომა, რომლის შედეგებსაც დღეს იმკიან. მათ მიმართ ნდობა იკარგება.

თავის დროზე, როდესაც ეს გავიგე, ძალიან გამიჭირდა დისონანსის შეტანა ხალხის საერთო განწყობაში, მაგრამ იანვარში განვაცხადე, რომ ეკონომიკური ზრდა ვერაფრით იქნებოდა 2,5-3%-ზე მეტი, რადგან ეკონომიკური აქტივობა ძალიან დაბალია, ხელშემწყობი არაფერი არის; ათიათასობით ადამიანს სურვილი აქვს, იმუშაოს, მაგრამ შეუძლებელია, რადგან ბანკები ბანდიტური ორგანიზაციებია. ისინი შეკრულნი იყვნენ წინა ხელისუფლებასთან, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღეს საბოტაჟს აწყობენ. მოეწონება ეს ვინმეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს არის შეკრული მაფიოზური ჯგუფი, რომელსაც ფული ხელისუფლებების მხარდაჭერით აქვთ დაგროვილი. დღეს ისინი ცდილობენ, არ გამოჩნდეს კონკურენტული ჯგუფი. როგორც კი კონკურენცია დაკანონდება და დაცული იქნება შესაბამისი კანონმდებლობით, როგორც კი გაჩნდება საბაზრო ეკონომიკა, რომელიც იმ ინსტიტუტებით და იმ სახელისუფლო პოლიტიკით იმართება, რომელიც მაკრო დონეზე ახდენს რეგულაციას, — დღევანდელი ცნობილი ფინანსური ჯგუფებისგან არაფერი დარჩება.

საქართველო არის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო, რომელიც ადამიანის ნიჭისა და უნარის განვითარებას ხელს უშლის. ხელს არ უწყობს, რომ გაჩნდნენ შეძლებული ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ხელისუფლებისგან და პოლიტიკანური მართვისგან. ასეთი იყო სახელმწიფო პოლიტიკა წლების განმავლობაში, სწორედ ამიტომ გვაქვს დღეს ასე მცირე ეკონომიკა.

ქვეყანას, რომელსაც სულ რაღაც 16-17-მილიარდიანი ეკონომიკა აქვს, რაც ერთი საშუალო ევროპული ფირმის შემოსავალია, 2 პროცენტით განვითარდება თუ 6-ით, მიზერი მაინც მიზერია. წინა ხელისუფლების დამსახურებაა ის, რომ ქვეყანა მთლიანად იმპორტზე ჩამოკიდეს, მათ სრული დეინდუსტრიალიზაცია მოახდინეს. ფაქტობრივად, ხელი არ შეუწყვეს იმ სფეროებს, რომლებიც კონკურენტულ პოტენციალს შეიცავს. ასეთი სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი გაგვაჩნია. ყველაფერი, რაც წინა ხელისუფლებამ გააკეთა, მონოპოლიების ხელში აღმოჩნდა და ეს მონოპოლიები დღესაც ხელშეუხებელია. ანტიმონოპოლიური სამსახურის თაობაზე ათი თვის თავზე კანონიც კი არ არის მიღებული, კონკურენციის დაცვისთვის არსებობს რაღაც სასაცილო სააგენტო, რომელიც არ ფუნქციონირებს, რაც ახალ მთავრობას არ ეპატიება. საბაზრო ეკონომიკაში მაკრო დონეზე სახელმწიფო რეგულირება უნდა იყოს და მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩოები, ის ინსტიტუტები უნდა ფუნქციონირებდეს, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისთვის. ჩვენს ქვეყანაში კი ამ დრომდე არაფერი მსგავსი არ არის.

— როგორ ფიქრობთ, სუსტი ეკონომიკური გუნდი ჰყავს?

— არ ვფიქრობ, რომ სუსტი გუნდია. ჩვენ ვსაუბრობთ მთავრობის ერთიან გუნდზე და მათ ერთობლივ გადაწყვეტილებებზე. წლის ბოლოს მთავრობის საქმიანობის შეფასების დრო დადგება. ჯერჯერობით, ძალიან ცოტა საკანონმდებლო ინიციატივაა, ძალიან ცოტა ნოვაციაა მთავრობის მხრიდან, არადა, ყველაფერი დამუშავებულია, ყველაფერი განსაზღვრულია, რა და როგორი მიმართულებით უნდა გაკეთდეს. ახლა სპეციალურად მთავრობისთვის „საქართველო 2020 — განვითარების სტრატეგია" იწერება და სექტემბერში იქნება განხილვები. პარლამენტი, ალბათ, მიიღებს მას და საკანონმდებლო ჩარჩოს მისცემს, რითაც ყველა სახელმწიფო სტრუქტურა გარკვეულ ვალდებულებას აიღებს, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან დაგვიანდა.

მთავარია, პოლიტიკური სიტუაცია ხელს არ უშლიდეს ეკონომიკურ განვითარებას.

— რას გულისხმობთ პოლიტიკურ სიტუაციაში?

— იმას, რომ ბიძინა ივანიშვილის წასვლა არ იქნას გაგებული, როგორც ტრაგიკული მოვლენა და ქვეყნის დაქცევის ნიშანი.

„ქართულ ოცნებაში" როცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაზე ვმუშაობდით, ემიგრანტების დაბრუნების შესანიშნავი პროგრამა გვქონდა. ჩვენი მოქალაქეები მზად არიან, დაახლოებით, ორ-ნახევარი მილიარდი დოლარი ჩადონ ქართულ ეკონომიკაში, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში, ამის განხორციელებას კი გარკვეული საკანონმდებო მხარდაჭერა სჭირდება, რადგან საქმე მარტივად არ არის. მათ გარკვეული გარანტიები სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობისთვის ეს პროგრამა ცნობილია, ნაბიჯი წინ არ იდგმება. ჩვენ არ გვჭირდება უცხოური ინვესტიციები, შარშან საქართველოს კომპანიებში წმინდა მოგების სახით, გადასახადების გადახდის შემდეგ, 6 მილიარდი ლარიდან არაფერი შემობრუნებული არ არის ეკონომიკაში. დათვალეთ, 6 მილიარდი საკუთარი ფული კომპანიების ანგარიშებზე დევს, ან გატანილია საზღვარგარეთ, ორ-ნახევარი მილიარდი დოლარი კი საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, რომ შემოიტანონ და, წარმოიდგინეთ, რამხელა სტიმული იქნება ქვეყნისთვის, მთავრობა კი ამ მიმართულებითაც არაფერს აკეთებს.

მთავრობა პოლიტიკური შეთანხმების კონფიგურაციაა. ბიძინა ივანიშვილის გარშემოც პოლიტიკური ძალები საკუთარი ინტერესების შესაბამისად დაკომპლექტდა და მთავრობაც დააკომპლექტეს. მთავრობა ერთიანი ხედვის ფარგლებში არ მოქმედებს, საქართველოში სისტემური კრიზისია, არაფერი მუშაობს, კრიზისიდან გამოსვლის გზები არ არის.

— ბატონო დემურ, მოდი ჩამოვთვალოთ ყველაზე აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას, რათა უახლოეს რამდენიმე წელიწადში უკეთესობა ვიგრძნოთ.

— ბიზნესის დაფინანსების საქმე (სტარტ-აპი) თუ მოგვარდება, საქმის დაწყება ადამიანებს გაუადვილდებათ. ბანკებმა უნდა დააფინანსონ დამწყები ბიზნესი, არ უნდა იყოს გიჟური მოთხოვნები, სახელმწიფომ უნდა შექმნას ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, ფული ხელმისაწვდომი უნდა იყოს და კლანურ ჯგუფებში არ უნდა იყოს კონცენტრირებული. ბანკების მაღალი მოთხოვნის გამო, საქართველოს უდიდესი პრობლემაა ქონების გაუფასურება. უნდა შეიქმნას ფინანსური ინფრასტრუქტურა, საბანკო სისტემის მოდერნიზაცია, მახინჯი სისტემა უნდა აღმოიფხვრას. პარალელურად საჭიროა საკანონმდებლო ინიციატიები, რომლებიც გააჩენს ვენჩორულ კომპანიებს, ანუ საარისკო კაპიტალს, რომლებიც მაღალი მოგების მიღების სურვილით ნოვაციებში ფულს ჩადებენ. ჩვენ არ გვაქვს საპენსიო ფონდები, არ გვაქვს ფულის წყაროები, არ გვყავს საინვესტიციო კომპანიები, ჩვენ არ გვაქვს კერძო ფონდები, რომლებიც მრავლად უნდა იყოს. არ გვაქვს საკანონმდებლო რეგულაციები, ბიზნესი იყო და არის მონოპოლიზირებული. წილებში ახალი ხალხი ჩაჯდა, არაფერი შეცვლილა. გვჭირდება კერძო ინიციატივის წახალისება, არ უნდა მოხდეს არაფორმალური შეთანხმებები. მოკლედ, რაც ჩამოვთვალეთ, იქიდან არაფერი კეთდება, რაც კეთდება, ის ქვეყანას კრიზისიდან ვერ გამოიყვანს.

„საქართველო და მსოფლიო"

სამართლებრივი აბსურდი თუ დასაბუთებული გადაწყვეტილება?

რატომ უთხრეს უარი სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე

მე-2 გვერდიდან

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კი ამბობს, რომ ხელისუფლებაზე აქცენტების გადმოტანა ამ შემთხვევაში არასწორია. პრემიერის განცხადებით, ძალიან სამწუხაროა, რომ სალომე ზურაბიშვილი ვერ დარეგისტრირდა, თუმცა, ისიც სამწუხაროა, რომ ის აქცენტების გადმოტანას ხელისუფლებაზე ცდილობს.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ დარეგისტრირდა სალომე ზურაბიშვილი, თუმცა ისიც სამწუხაროა, რომ ის ცდილობს, აქცენტები გადმოიტანოს ჩვენზე, ხელისუფლებაზე. ჩვენ ყველანი უნდა შევეჩვიოთ, მე, პირადად, ყველანაირად ვცდილობ, რომ რაც არ მევალება, არ შედის ჩემს უფლებებში, არ ვისარგებლო და არ გამოვიყენო, ძალიან ფრთხილად ვეკიდები სასამართლოს და ძალიან ვცდილობთ, რომ ჩაიხსნას ძველი გავლენა სასამართლოზე და ვერავინ ვერ გაბედავს ახალი ხელისუფლებიდან, მათ აზრადაც მოუვიდეს, რომ მოახდინოს სასამართლოზე გავლენა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ და მივიღოთ თავისუფალი სასამართლო, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისია. ეს არ არის პრემიერის პროგრამატივა. რა თქმა უნდა, მე დავინტერესდი სალომე ზურაბიშვილის საკითხით და მქონდა საუბარი უსუფაშვილთან და სხვა პოლიტიკოსებთანაც, იქ ვერ ნახეს სწრაფი გამოსავალი, რომ რაიმე შეცვლილიყო," — განაცხადა **ივანიშვილმა**.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული არგუმენტების მიუხედავად, სასამართლომ ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება დასაბუთებულად მიიჩნია და ძალაში დატოვა, შესაბამისად, სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობას ვერ მიიღებს. მიუხედავად ამისა, ის ბრძოლას აგრძელებს, მაგრამ არა როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, არამედ როგორც პოლიტიკური ძალა.

„ეს არის ჩემი პოლიტიკური უფლებების დიდი დარღვევა და ამავე დროს სამართლებრივი აბსურდი. მე არა როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, არამედ როგორც პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, ისე ვაგრძელებ ბრძოლას. ეს არის პრინციპული ბრძოლა," – განაცხადა **ზურაბიშვილმა**, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას სტრასბურგში გეგმავს.

ცოტნე პაატაშვილი

დაარღვია თუ არა ივანიშვილმა ქართული პოლიტიკის მთავარი ტაბუ?

ბიძინა ივანიშვილის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ოპოზიციამ კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ. „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების თქმით, ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით პრემიერის განცხადება საგარეო-პოლიტიკური ვექტორის რუსეთისკენ მიბრუნებას ნიშნავს.

„თუ ევრაზიულ კავშირს რაიმე თანხვედრა ექნება ქვეყნის ინტერესებთან, ისე რომ საქართველოს მიერ გაცხადებულ ძირითად სტრატეგიას არ შეეწინააღმდეგება, მომავალში ამ საკითხსაც განვიხილავთ," — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ევრაზიულ კავშირში საქართველოს შესაძლო გაწევრიანების თაობაზე კითხვის პასუხად.

ამ განცხადებას ოპოზიციამ იმდენად „ხმაურიანი" კომენტარები მოაყოლა, რომ პრემიერ-მინისტრს დამატებითი განმარტებების გაკეთება მოუხდა. თუმცა, ბიძინა ივანიშვილის თქმით, მან ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება უნიჭო ხალხისთვის — „ნაციონალური მოძრაობისა" და გიგა ბოკერიასთვის გააკეთა.

„ბოკერიასა და მისი მსგავსებისთვის დავამატებ, რომ ამის განმარტება საჭირო არ იყო. წინა დღით ამბასადორიალზე მქონდა გამოსვლა, სადაც რამდენჯერმე მოვიხსენიე, რომ საქართველოს ქვაკუთხედი ევროპული და ევროატლანტიკური სივრცეა. ამას ვამბობ პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღიდან და მთელი ჩემი გუნდი ამას აცხადებს. ქვეყნის სტრატეგია არის ის, რაც სასიკეთოა ქვეყნისთვის. როცა აცხადებ, რომ შენი ქვეყნის სტრატეგია ევროპაა და ევროატლანტიკური სივრცეა და ამის შემდგომ ქვეტექსტში რაღაც გაერთიანებაზე გეკითხებიან, თუ შეიძლება თეორიულად მასში გაერთიანება, მე ვუპასუხებ, რომ ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, ვუყურებთ და თუ ეს ჩემი ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, რატომაც არა. ეს ნორმალური ადამიანისთვის არ საჭიროებს დამატებით განმარტებას. რომ არ ყოფილიყო „ნაციონალური მოძრაობა" და ბოკერიები, ეს შეკითხვა არავის არ გაუჩნდებოდა," — განაცხადა **ბიძინა ივანიშვილმა.**

პრემიერ-მინისტრის ნათქვამს სააკაშვილი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „ივანიშვილმა ქართული პოლიტიკის მთავარი ტაბუ დაარღვია."

„ბოლო დღეებში პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ქართული პოლიტიკის მთავარი ტაბუ დაარღვია... მთავარი ისაა, გავიგოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე. რას ნიშნავს ეს დებატი ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი შვილებისთვის. თავს ნუ მოვიტყუებთ, ეს ის არაა, რომ ვიყიდო, გავყიდო, ეს არ არის ჩვეულებრივი პრაგმატული არჩევანი ევროპასა და ევრაზიას შორის. ამ არჩევანს აქვს კონკრეტული პოლიტიკური გაგრძელება," — განაცხადა **მიხეილ საკაშვილმა**.

ევრაზიულ კავშირზე გაკეთებული განცხადება პრემიერს დაუწუნა ქდმ-ის საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი თარგამაძემაც, რომლის თქმითაც, პრემიერ-მინისტრმა ამ განცხადებით ევროკავშირს ზურგი შეაქცია.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება არ გამორიცხა. ორ რამეს მინდა, გავუსვა ხაზი — პირველი, ეს ხდება იმის პარალელურად, რაც ზუსტად ერთი დღით ადრე, სომხეთმა, ანუ სახელმწიფომ, რომლის საგარეო პოლიტიკაც რამდენიმე თვის წინ სომხეთში ვიზიტის დროს სამაგალითოდ მიიჩნია პრემიერმა, უკვე ოფიციალურად განაცხადა თანხმობა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების შესახებ, რითაც, ფაქტობრივად, ევროკავშირში ინტეგრაციას ზურგი შეაქცია. პრემიერის ეს განცხადება არის მცდელობა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების თემაზე დისკუსიის ლეგალიზებისა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და ეს არ არის შემთხვევითი," — განაცხადა **გიორგი თარგამაძემ.**

ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების თაობაზე საუბარი კოალიციის შიგნით, როგორც ჩანს, მართლაც მიმდინარეობს, რადგან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, რომ „ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით კოალიციაში აზრთა სხვადასხვაობაა."

„ამ საკითხზე საუბრები მიმდინარეობს, თუმცა მთავარია, ჩვენი გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში არ მოვიდეს არც ერთ მიმართულებასთან, რომელიც საქართველოს აქვს არჩეული. არ შეიძლება, არასერიოზული განცხადებების გაკეთება, მით უმეტეს მაშინ, როცა მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთთან და ხშირად ეს მოლაპარაკებები წარმატებულია," — განაცხადა **გიორგი ვოლსკიმ**. მისივე თქმით, საქართველომ ისტერიული განცხადებების სტილი უნდა მოიცილოს.

თუმცა, ვოლსკის ნათქვამის საპირისპიროს ამბობს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ირაკლი ალასანიას განცხადებით, „ევრაზიული კავშირის საკითხის განხილვა მთავრობაში არ ყოფილა."

„ამ საკითხის განხილვაც კი არ ყოფილა მთავრობაში, ხელისუფლებაში. ეს დღის წესრიგში არც დგას და პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა სწორედ ის, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მე ვთვლი, რომ ჩვენი ძალიან ნათლად გამოხატული პრიორიტეტი არის პერსპექტივა ევროპაში, ევროპულ საზოგადოებაში ჩვენი გაწევრიანების და ეს ერთადერთ საგარეო პოლიტიკურ ორიენტირად დარჩება," — განაცხადა **ირაკლი ალასანიამ.**

შემთხვევითი იყო თუ არა ივანიშვილის განცხადება ევრაზიულ კავშირზე, თუ ამას მართლაც მოჰყვება დიალოგის დაწყება ამ თემაზე, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა, ასეთი „შემთხვევითი" განცხადებების შემდეგ ივანიშვილს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს უკვე ხშირად უხდებათ დამატებითი განმარტებების გაკეთება. ქდმ-ის ლიდერის გიორგი თარგამაძის თქმით, პრემიერის მიერ სომხეთის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების შემთხვევაშიც იყო საუბარი, რომ ივანიშვილი არ იყო გარკვეული სინამდვილეში და ეს იყო შემთხვევითი განცხადება.

„ბევრს ეგონა, რომ ივანიშვილი არ იყო გარკვეული, სინამდვილეში როგორია სომხეთის საგარეო პოლიტიკა და ამის შემდეგ ბევრი ახსნა-განმარტება დასჭირდა საქართველოს საგარეო უწყებას და თავად ივანიშვილსაც, რომ ეს ყველაფერი განემარტა. ამ ყოველივეს შემდეგ თუ კი ჩვენ ვუშვებთ ასეთ შეცდომებს, ეს უკვე ნიშნავს, რომ ეს არ არის შემთხვევითი შეცდომა და ეს პოლიტიკის ნაწილია," — აღნიშნა **გიორგი თარგამაძემ.**

ცოტნე პაატაშვილი

საკუთარ კაბინეტში „ჩაკეტილი" დეპუტატი

გასული კვირის საკრებულოს სხდომაზე, სადაც ერთადერთი განსახილველი საკითხი დიმიტრი კოპალიანის თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება იყო, დაპირისპირება მოხდა საკრებულოს დეპუტატსა და მრავალშვილიან დედას შორის.

მარინე დახუნდარიძემ, რომელიც სხდომას საგანგებოდ ესწრებოდა, დიმიტრი კოპალიანის თანამდებობიდან წასვლა გააპროტესტა და ფრაქცია „პატრიოტების" დეპუტატი კახა ნემსიწვერიძე ქალაქის სრულ მონოპოლიზებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ნემსიწვერიძე, გოჩა თევდორაძესთან ერთად, დანაშაულებრივი გზით მართავს ქალაქს. ხმამაღალი შელაპარაკების დროს დახუნდარიძემ დეპუტატს „ბანდიტი" უწოდა, რის შემდეგაც ნემსიწვერიძემ მისი მისამართით განაცხადა: „ვნახავ მე შენს შვილებს" — ამ სიტყვებით ნემსიწვერიძემ სხდომათა დარბაზი დატოვა, რის შემდეგაც მრავალშვილიანმა დედამ დეპუტატს კაბინეტში ააკითხა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ოთახიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა.

„ჩემი შვილებით დამემუქრა ნემსიწვერიძე. აბა, გაბედოს და რომელიმეს ხელი ახლოს. რა უნდა მაგ ბანდიტს ამ ქალაქში. შეეჭამეს მაგან და გოჩა თევდორაძემ მთელი ქუთაისი. ნუთუ არ იმსახურებდა ჩვენი ქალაქი ერთ პატიოსან მერს?" — განაცხადა **მარინე დახუნდარიძემ.**

ვითარების განსამუხტად ნემსიწვერიძის კაბინეტთან საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილიც მივიდა,თუმცა, დახუნდარიძე შენობის დატოვებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა.

მოგვიანებით, ოთახიდან თავად ნემსიწვერიძე გამოვიდა და მრავალშვილიან დედას „გამომძალველი" უწოდა.

საბოლოოდ, მარინე დახუნდარიძე შენობიდან დაცვის თანამშრომლებმა გაიყვანეს.

მარი პატარაია

საჩხერე და ლა კაპელა დამეგობრდნენ

გასულ კვირას საჩხერეს საფრანგეთის პატარა ქალაქ ლა კაპელას (le capelle) მერიის ხუთი წარმომადგენელი ეწვია. საჩხერესა და ლა კაპელას წარმომადგენლებმა ორი ქალაქის დამეგობრების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ინიციატივა მსოფლიოში ცნობილი მოგზაურის და რეკორდსმენის, **ჯუმბერ ლეჟავას** მხრიდან წამოვიდა. ბატონმა ჯუმბერმა სტუმრები, რომლებიც საჩხერეს ეწვივნენ, აფრიკის ერთ-ერთ ქვეყანაში გაიცნო. კითხვაზე, თუ რა პოზიტივები მოჰყვებოდა საჩხერისა და ლა კაპელას დამეგობრებას, სპორტსმენმა psnews.ge-ს განუცხადა: „უბრალოდ, ადვილი გასარკვევია, რა პოზიტივები შეიძლება მოჰყვეს ამ დამეგობრებას. როცა ბევრი მეგობარი გყავს, ეს უკვე სიძლიერეს ნიშნავს. მაქვს ნანახი ეს პატარა ევროპული ქალაქი. გასაოცრად შრომისმოყვარე და მოსიყვარულე ხალხი ცხოვრობს იქ. საჩხერესთან ამ ქალაქის დამეგობრების სურვილი იმიტომ გამიჩნდა, რომ ორივე პატარა ქალაქია და საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებათ."

ლა კაპელას ვიცე-მერმა, **რეჯის ფოსტიერმა,** რომელიც ხუთკაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ფრანგული ქალაქის შესახებ ისაუბრა: „ჩვენი ქალაქი პარიზიდან ჩრდილოეთით 200 კილომეტრში მდებარეობს. მოსახლეობის საქმიანობა, ძირითადად, ყველის წარმოება და მევენახეობაა. მართალია, ქალაქი ჩრდილოეთით მდებარეობს, მაგრამ მეღვინეობა მაინც ვითარდება. გვაქვს ორი იპოდრომი და ვფიქრობთ, რომ საჩხერისა და ლა კაპელას მეგობრობა ძალიან დიდხანს გაგრძელდება, რადგან ამ ორ ქალაქს ბევრი რამ ექნება საერთო."

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი **ამირან ნოზაძე:** „ამ ეტაპზე ნამდვილად არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ჩვენი მხრიდან საპასუხო ვიზიტი მოეწყობა. მუნიციპალიტეტში უამრავი პრობლემაა და საზღვარგარეთ ვიზიტებზე თანხების ხარჯვის უფლებას თავს ვერ მივცემთ. როცა მატერიალურად წელში გავიმართებით, ამის შემდეგ შეიძლება, რომ გვქონდეს კულტურულ-საგანმანათლებო გაცვლითი პროექტები; შეიძლება, იქაურ ყველის ფესტივალშიც მივიღოთ მონაწილეობა. იმედია, რომ გვექნება პოზიტიური და ხანგრძლივი ურთიერთობები."

ფრანგმა სტუმრებმა მოინახულეს კვერეთი, სხვიტორი, კაცხის სვეტი. აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის ეზოში მათთვის გაიმართა ფოლკლორული რეწვის ნიმუშების გამოფენა და მოეწყო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. სტუმრებისათვის სპეციალურად შესრულდა ფრანგული სიმღერებიც.

„უნდა ითქვას, რომ საჩხერეს უკვე მეორე დამეგობრებული ქალაქი ჰყავს. პირველად ბათუმს დავუმეგობრდით, ამჯერად ფრანგული ქალაქი დაგვიმეგობრდა, შემოთავაზება გვაქვს ებრაული ქალაქიდანაც. თუნდაც ბათუმთან დამეგობრებამ მოგვიტანა ის, რომ ქალაქში გაიხსნა ბათუმის სახელობის სკვერი, უამრავი დეკორატიული მცენარე ჩამოგვიტანეს საჩუქრად, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა იხარა და საჩხერეს კოლორიტი შეჰმატა. პესიმისტებისათვის ფრანგულ ქალაქთან დამეგობრება თითქოს არაფერია, მაგრამ ამ დამეგობრებამ, სხვა თუ არაფერი, ორი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე უკვე აჩვენა: ადგილობრივი ანსამბლებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მათი შემოქმედება ნახეს უცხოელებმა, მოტივაცია გაეზრდებათ კიდევ და ამის გარდა, არც ისე დიდი დრო დარჩა აკაკი წერეთლის იუბილემდე, დღევანდელი ღონისძიება შეიძლება ჩავთვალოთ იუბილის გენერალურ რეპეტიციად," – აღნიშნა საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ინგა ზაბახიძემ.**

ორ ქალაქს შორის დამეგობრების მემორანდუმს 9 სექტემბერს, მოეწერა ხელი. სტუმრებმა, სიმბოლურად, დამსწრე საზოგადოებას ფრანგული ყველის დეგუსტაცია შესთავაზეს. სპეციფიკური გემოს და სუნის ყველი რამდენიმე ადამიანმა გასინჯა. ასევე სიმბოლურ საჩუქრად საჩხერის მუნიციპალიტეტს ორი ბოთლი ღვინო და ქალაქის თემატური რუკები გადაეცა.

როლანდ ხოჯანაშვილი
psnews.ge

გიგა ბოგვერაძის ნაშრომი ბაგრატის ტაძრის ისტორიას ცვლის

მძიმე სენი რომ არა, ვინ იცის, კიდევ რამდენ უცნობ თემას გააშუქებდა იგი თავის გამორჩეულად საყვარელი გაზეთის „P.S."-ის („პოსტსკრიპტუმის") ფურცლებზე, სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა თუ ელექტრონულ ჟურნალებში... არადა, გიგა ბოგვერაძე თითქოს დროს უსწრებდა და წერდა სწორედ „უცნობზე", ამ სიტყვის ყველაზე ფართო და ზუსტი მნიშვნელობით. ხან სრულიად შეუსწავლელ, სამეცნიერო მიმოქცევაში ფაქტობრივად არარსებულ საკითხს უღრმავდებოდა, ხან კი ისეთ თემას შეარჩევდა, სადაც ახლის თქმა თითქოს წარმოუდგენელი იყო... და ორივე შემთხვევაში იგი ჭეშმარიტი მეცნიერის ალღოსა და კვლევის უნარს ამჟღავნებდა. მოულოდნელი ფაქტები, ვერსიები, მიგნებები და დასკვნები სპეციალისტებში მოწონებასა და პოლემიკის სურვილს ბადებდა.

გიგა ასაბუთებს, რომ იმ ქართველ და უცხოელ ავტორთა ვერსია, რომლებიც თვლიან, რომ ქუთაისის ციხექალაქის თურქი მეციხოვნეებისაგან გათავისუფლება მწვანეყვავილას გორიდან დაბომბვით განხორციელდა, მცდარია...

გიგა 23 წლის ასაკში მოვიდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. ნიჭიერი, ერუდირებული, თავმდაბალი, ზრდილობიანი, ხალასი იუმორით სავსე ახალგაზრდა სიყვარულსა და სითბოს ასხივებდა. საფონდო თუ სამეცნიერო სამუშაოებს ერთნაირი მონდომებით ასრულებდა. არადა, განებივრებული დედისერთა ბიჭების დარად უნდა მოქცეულიყო თითქოს, მით უმეტეს, რომ დაწესებულებაში მის გვერდით მუშაობდნენ მშობელი დედა და ოჯახის ახლობელი ადამიანები. გიგა კი უზომოდ მორიდებული და დაუზოგავად მშრომელი იყო. არც იმის ფუფუნება ჰქონია, რომ მხოლოდ სამუზეუმო საქმეებით და სამეცნიერო მუშაობით დაეტვირთა თავი.

მუზეუმის ქრონიკული უსახსრობის გამო საკუთარი ხელით არემონტებდა საფონდო ოთახს და უმძიმეს სამუზეუმო ნივთებსა თუ ინვენტარს ერთი შენობიდან მეორეში ზურგით ეზიდებოდა. წიგნებსა და ისტორიულ დოკუმენტებში მოკირკიტე ახალგაზრდა პრაქტიკული, დროს მორგებული ადამიანის თვისებებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა, მაგრამ მუზეუმის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად დირექცია სწორედ მას გზავნიდა დედაქალაქში და ისიც ყოველთვის დადებითი პასუხით ბრუნდებოდა უკან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გიგა ბოგვერაძე იყო ქუთაისის მუზეუმის დესპანი, ანგარიშგასაწევი პასუხისმგებელი პირი და იქაურ თანამშრომლებს (რომელთა შორისაც ბევრი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი იყო) უყვარდათ, როგორც შინაური, ჭკვიანი, საქმიანი და სასიამოვნო ახალგაზრდა ადამიანი. გიგა იყო საოცრად კომუნიკაბელური, დიდთან — დიდი, პატარასთან — პატარა. ამიტომაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ისტორიის კათედრის მასწავლებლად მუშაობის პერიოდში მას უზომოდ აფასებდნენ სტუდენტები.

გიგა ბოგვერაძემ არაერთი საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, როგორც მუზეუმის შრომების კრებულში, ასევე ქართულ და საზღვარგარეთულ პერიოდულ გამოცემებში. მან 2003 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე — „საქართველოსა და „აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია 1918-1920 წლებში." შეიძლება ითქვას, რომ ეს არ იყო დაცვა პირდაპირი გაგებით, რადგანაც ახალგაზრდა მეცნიერის ნიჭიერების გამო ოპონენტებიც ვერ მალავდნენ აღფრთოვანებას. გიგამ აირჩია ურთულესი გზა.

საქართველო-აზერბაიჯანთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ყველაფერი გაჟღენთილი იყო საბჭოთა იდეოლოგიური პროპაგანდით, სამხედრო ურთიერთობებზე კი, ფაქტობრივად, ვაკუუმი სუფევდა. სრულიად ნედლი მასალა, გამოუქვეყნებელი საბუთები გამოიტანა გიგა ბოგვერაძემ თავის სადისერტაციო ნაშრომში. მან დაწერა ის ისტორია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში განზრახ დამახინჯებული და მიჩქმალული იყო. არადა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ამ მოკლეპერიოდიანმა სამხედრო-პოლიტიკურმა თანაარსებობამ ახალ საფეხურზე აიყვანა ორი ხალხის ურთიერთობები. გიგა არ წერდა გამოკვლევას გამოკვლევისათვის. ამ სადისერტაციო ნაშრომის მთავარი სათქმელი მან, ჩემი აზრით, დაუკავშირა იმ ღირებულებებს, რომელიც ძვირფასია დემოკრატიის, ჰუმანიზმისა და ტოლერანტობის მომხრე საზოგადოებისათვის: მიუხედავად განსხვავებული რელიგიისა და იდეოლოგიისა, ახალგაზრდა რესპუბლიკებმა XX საუკუნის დასაწყისში გამონახეს საერთო ენა, მმართველი (სოციალ-დემოკრატიული და მუსავატური) და ოპოზიციური პარტიების ერთნაირი მხარდაჭერის პირობებში დაიწყეს შეთანხმებული პოლიტიკის წარმოება.

გიგა ბოგვერაძის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ბაქოს პრესის ფურცლებზე. დაცვას დაესწრნენ საქართველოში მოღვაწე აზერბაიჯანელი დიპლომატები. ერთ-ერთმა მათგანმა — საელჩოს კულტურულმა ატაშემ დისერტანტს თანამემამულეთა სახელით დიდი მადლობა გადაუხადა.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი მ. სამსონაძე დაცვაზე აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა მკვლევარის წარმატება იმთავითვე გარდაუვალი ჩანდა, რადგანაც გიგა ბოგვერაძე არ მიეკუთვნებოდა სნობური ფსიქიკის მქონე ხარისხის მაძიებლებელთა რიცხვს. მისთვის სულერთი არ იყო, რა საკითხს და რომელ პერიოდს აირჩევდა. გიგას დისერტაციაზე მუშაობის დაწყებისას მკაფიოდ გარკვეული ჰქონდა თავისი ინტერესის სფერო და ხელმძღვანელ პროფესორს ყოველთვის აოცებდა, როგორც საქართველოსა და მსოფლიოს საამხედრო ისტორიის ღრმა ცოდნით, ასევე დამოუკიდებლად მუშაობის უნარით.

საერთოდ, მუზეუმის თანამშრომელს რომელიმე ერთი მიმართულებით შემოფარგვლის ფუფუნება არ აქვს. იგი ყველგან და ყოველთვის უნდა ეძებდეს მუზეუმისათვის საინტერესო მასალებს, იწერდეს ეთნოგრაფიული, ენათმეცნიერული თუ ფოლკლორული ღირებულებების მქონე ტექსტებს. **გიგამ დაგვიტოვა შესანიშნავი ნაშრომები საქართველოს ულამაზესი კუთხის – რაჭის შესახებ.** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გიგა ბოგვერაძის დარად მუზეუმის არცერთ თანამშრომელს ინდივიდუალურად არ აქვს შესწავლილი რომელიმე სოფლის ისტორია და მისი ტოპონიმები.

სოფელი ბარი გიგასათვის იყო დედის სითბოთი გაჯერებული პატარა ოაზისი. იგი თითქოს ეფერებოდა და, სამწუხაროდ, ემშვიდობებოდა კიდეც ბარის თითოეულ სამოსახლოს, სათიბს, სახნავ-სათესს, ვენახს, ტყემინდორს, წყაროს, ღელეს, ტბას, მაცხოვრის ეკლესიის ნანგრევებს... რაჭა თვითონ სიყვარულია და ამ სიყვარულად გაბნეული ტოპონიმების სიცოცხლის გასახანგრძლივებლად გიგა წლების მანძილზე აგროვებდა რაჭასავით ალალ და მიამიტად ლამაზ სახელწოდებებს: ფარფატა, უფალიშო, სამზიარი, საჯვარე, სატუტუნო, არჩვეული, ჩიტაური და მრავალი სხვა. შეკრიბა ისინი და დაგვიტოვა წიგნად, რომელსაც „გულით სატარებელი" ეწოდება. ეს პატარა ფორმატის გამოცემა მართლა გულს ითხოვს ბინად, სხვაგან ვერ თავსდება, რადგანაც იგი ულამაზესი სოფლისა და მწუხარებად გარინდული სათაყვანებელი დედის დაუსრულებელი სიყვარულია. გიგამ ეს გამოკვლევა სწორედ დედას უძღვნა...

გიგა ბოგვერაძე

რა საკითხსაც არ უნდა შეხებოდა, ძირისძირამდე უღრმავდებოდა. იყო რაჭველთა გაზეთის „რაეოს" კორესპოდენტი. ყოველგვარი კუთხურობისაგან დაცლილი ახალგაზრდა მეცნიერი დიდი წარმატებით თანამშრომლობდა „მახარიასა" (მეგრელთა გაზეთი) და „საპოვნელასთან" (იმერელთა გაზეთი). ამ გაზეთების რედაქციები თბილისში ერთ შენობაში იყო განთავსებული და იქ მუდამ მოუთმენლად ელოდნენ გიგას საინტერესო სტატიებს.

დასანანია, რომ ამ ნიჭიერ მკვლევარს გამოუქვეყნებელი დარჩა ნაშრომები „მეგრელთა საქმე", „ქართული მილიცია 1918-1921 წლებში" და „რაჭის ციხეები". სამწუხაროდ, სამივე მათგანი გაბნეულია... ესეც რაღაც ბედისწერაა... ეტყობა, გიგასთან ადვილად მიახლოება აღარ შეიძლება... ადრე თუ გვიან, უფრო ზუსტად, საჭირო დროს, სამივე გამოკვლევას წავაწყდებით და მივხდებით, რატომ ეფარებოდა თვალს ამდენ ხანს.

გიგა საოცრად მრავალმხრივი იყო, მაგრამ სამხედრო ისტორიების კვლევისას თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ამას, ალბათ, განაპირობებდა ის, რომ იგი ყველაზე რაინდული სპორტის — ფარიკაობის მწვრთნელის ოჯახში გაიზარდა და თვითონაც ბავშვობაში დიდად იყო გატაცებული დაშნით ორთაბრძოლებით.

2003 წელს მან მე და ყველა კოლეგას გვაჩუქა თავისი წიგნი **„ქუთაისის ციხე-ქალაქის გათავისუფლების ისტორიისავის (1770 წელი)"**. პირველივე გვერდების წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ ეს იყო სრულიად ახალი, მოულოდნელი, საკამათო და უზომოდ გაბედული გამოკვლევა. გიგას არ აშინებდა უკვე შეფასებულის კვლავ სასწორზე შეგდების სირთულეები, რადგანაც კარგ მოჭადრაკესავით ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი... უამრავი კითხვა დავუსვი. იმდენი რამ ამიხსნა, ვუსაყვედურე კიდეც, წიგნში რატომ არ შეიტანე ეს ყველაფერი-მეთქი. თავისი ნაშრომი მან დააფუძნა გამოცდილი სამხედრო პირების, მათემატიკოსების, ფიზიკოსების დასკვნებზე. მათთან ერთად აზუსტებდა, ანგარიშობდა და მსჯელობდა საბრძოლო მასალების სიმძლავრეებზე, გასროლის ტრაექტორიებსა და სხვა საკითხებზე.

გიგა ასაბუთებს, რომ იმ ქართველ და უცხოელ ავტორთა ვერსია, რომლებიც თვლიან, რომ თურქი მეციხოვნეებისაგან ქუთაისის ციხექალაქის გათავისუფლება მწვანეყვავილას გორიდან დაბომბვით განხორციელდა, მცდარია. გიგა ბოგვერაძის აზრით, რუსი მებრძოლების ხელთ იმჟამად არსებული ზარბაზნების საშუალებით ამ მანძილიდან უქიმერიონის „ციხის კედლების შენგრევა შეუძლებელი იყო და ეს მხოლოდ საბრძოლო მასალის ფუჭი ხარჯვა იქნებოდა... ძეგლი ისე იჯდა ქალაქის არქიტექტურულ სისტემაში, რომ მას ყველა მხრიდან იცავდა არა მარტო ციხის, არამედ ციტადელის მაღალი კედლები და კოშკები. ზარბაზნების განლაგებას მწვანეყვავილას კონცხზე აზრი არ ჰქონდა, რადგან კორპუსის ნაწილები თითქმის ციხე-ქალაქის კედლებთან იდგნენ და, რასაკვირველია, **ახლო მანძილიდან უფრო უპრიანი იქნებოდა ცეცხლის გახსნა..."**

გიგას ნაშრომის დაბეჭდვიდან თითქმის ათი წლის შემდეგ ავთანდილ და ოთარ ნიკოლეიშვილებმა გამოსცეს შესანიშნავი წიგნი „ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV- XIX საუკუნეები)," სადაც ისინი წერენ: „ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ გ. ბოგვერაძემ ქუთაისის ციხე-სიმაგრის გათავისუფლებასთან და ბაგრატის ტაძრის დანგრევასთან დაკავშირებით გამოთქმულ მისეულ მოსაზრებებს სათანადო დამაჯერებლობა შესძინოს, მან, პირველ ყოვლისა, უცხოელ ავტორთა და მსგავსი მოსაზრებების გამომთქმელ ქართველ მკვლევართა ის შეხედულებანი უნდა გააქარწყლოს არგუმენტირებულად, რომლებიც მისგან განსხვავებული თვალთახედვით აშუქებენ აღნიშნულ მოვლენას."

ამ სტრიქონების წერისას პატივცემულმა ავთანდილ და ოთარ ნიკოლეიშვილებმა არ იცოდნენ, რომ გიგა უკვე შვიდი წლის გარდაცვლილი იყო... არგუმენტები, თანაც დამაჯერებელი, გიგას, ალბათ, ექნებოდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა მკვლევარის ნააზრევი დღესაც სიცოცხლისუნარიანი, ინტერესისა და პოლემიკის საფუძველია...

გიგა სხვადასხვა მოვლენის ისტორიას იკვლევდა და წერდა. მან (არც ჩვენ) მაშინ არ იცოდა, რომ ამით საკუთარ თავზეც წერდა. მე და ჩემზე გაცილებით უკეთესებიც ვეღარაფერს ვიტყვით მის შესახებ სრულყოფილად. ამას გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ თვითონ ახერხებს ყველაზე უკეთ: დაუსრულებლად მიდის ჩვენგან, გვავსებს დიდი სევდით, მაგრამ მაინც ჩვენთანაა — ბევრ ცოცხალზე უფრო ცოცხალი, მარად 33 წლის ნიჭიერი და შრომისმოყვარე გიგა ბოგვერაძე.

მაია ქებულაძე

პუტინი საქართველოს სახელმწიფო საზღვრისაკენ მოიწევს

რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფო საზღვრის შესახებ" ოფიციალური ხელშეკრულების მომზადება დაავალა.

„დაევალოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გამართოს მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის მხარესთან და მოლაპარაკებების შედეგად რუსეთის ფედერაციის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას," — ნათქვამია რუსული მედიის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად უკვე გამოხატა პროტესტი ამასთან დაკავშირებით. როგორც მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, დოკუმენტი ცხინვალსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა და მას არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს.

„ეს არის საერთაშორისო ნორმების დარღვევა. შესაბამისად, ამ დოკუმენტს არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ბათილად იქნება ცნობილი," — აღნიშნა **დავით ზალკალიანმა.**

მისივე ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც საგარეო უწყებამ რუსეთსა და ცხინვალს შორის ე.წ სახელმწიფო საზღვრის შესახებ დოკუმენტის გაფორმებაზე შეიტყო, შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით რუსეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ასეთი დოკუმენტის მიღება უკანონოა, თუმცა, ამ ტიპის გადაწყვეტილება პირველი არ არის.

„პირველი არ არის ამ ტიპის გადაწყვეტილება, როცა რუსეთი ოკუპაციას განაგრძობს და ბუნებრივია, ეს უკანონოა. რუსეთ-სამხრეთ ოსეთის საზღვარი არ არსებობს. ეს არის საქართველო-რუსეთის საზღვარი, შესაბამისად, ამგვარი დადგენილების მიღება უკანონოა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა და მას მსოფლიოში არავინ აღიარებს. დადგენილება უბრალო ქაღალდი იქნება, შესაბამისად, ეს არაფერს ნიშნავს," — აღნიშნა **პაატა ზაქარეიშვილმა**.

„არანაირი სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს. ცხინვალთან არის მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვარი, სადაც უკანონოდ ივლება მავთულხლართები რუსეთის მიერ. რუსეთი ყოფს ადამიანებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ," — აცხადებს **ზურაბ აბაშიძე,** რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი. საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში მიიჩნევს, რომ საქართველომ ამის თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს.

ციტნე პაატაშვილი

ქუთაისში ყველა ძეგლზე საინფორმაციო დაფა განთავსდება

ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივით, ქალაქში ყველა ძეგლს განმარტებები ვრცელი წარწერების სახით გაუკეთდება. ისტორიულ და კულტურულ ძეგლებზე ამჟამად მხოლოდ დასახელება და თარიღია დატანილი, რაც, სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, საკმარისი არ არის.

ინიციატივა ქალაქში ბოლო წლებში ტურისტების რიცხვის ზრდას უკავშირდება. უცხოელი ტურისტებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, ძეგლების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ, ქალაქში არსებულ ძეგლებზე გაკეთებული მოკლე წარწერები ხშირ შემთხვევაში ნაკლებ ინფორმატიულია. ამიტომ კულტურის სამსახურში ძეგლებზე მეტი ინფორმაციის დატანას აუცილებლობად მიიჩნევენ.

„როცა ტურისტი ექვთიმე თაყაიშვილის ან ვასილ ამაშუკელის ძეგლს ნახავს, მხოლოდ მათი ვინაობის ცოდნა არ არის საკმარისი. ტურისტისთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს, რას წარმოადგენდნენ ეს ადამიანები თავის დროზე და რა კვალი დატოვეს მათ ჩვენს თანამედროვეობაში. საკითხი უკვე მხარდაჭერილია ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ და, ვფიქრობთ, პროექტის განხორციელება წლის ბოლომდე მოხერხდება," — ამბობს მერიის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი თამთა თურმანიძე.

წლის ბოლომდე კულტურის სამსახური კიდევ ერთი ინიციატივის განხორციელებას გეგმავს, რომელიც ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელს გიორგი სიხარულიძეს ეკუთვნის. ინიციატივის თანახმად, რომელიც უკვე განხილვის პროცესშია, იგეგმება მესხიშვილის თეატრის არქივის საფუძვლიანი შესწავლა და მდიდარი მუზეუმის შექმნა, რომელიც სრულყოფილად ასახავს თეატრის ისტორიას.

კულტურის სამსახურის სამომავლო გეგმებზე სამსახურის წარმომადგენლებმა 9 თვის ანგარიშის წარდგენის დროს ისაუბრეს. დეტალურ ანგარიშში 2013 წლიდან დღემდე განხორციელებული ყველა აქტივობა შევიდა, მათ შორის — ყველაზე მასშტაბური კალენდარული ღონისძიება ორმაისობა, იგივე გვირილობის დღესასწაული და კულტურული ინიციატივის ფარგლებში პირველი ქართველი კინემატოგრაფის ვასილ ამაშუკელის ძეგლის გახსნა.

მარი პატარაია
psnews.ge

კომენტარის გარეშე

ფოტორეპორტაჟი ქუთაისის ისტორიული ბულვარიდან

დიტო თაბაგარის ფოტორეპორტაჟი

რეგისტრაციიდან მოხსნილმა 2053-მა მოქალაქემ პირადობის მოწმობა უფასოდ მიიღო

სერვისების განვითარების სააგენტო საარჩევნო სიის ფორმირებაზე მუშაობას განაგრძობს.

13 სექტემბერს სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან სამადაშვილმა იუსტიციის სახლში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქეებისთვის მიმდინარე აქციის შედეგებსა და პირობებზე განცხადება გააკეთა.

მისი ინფორმაციით, აქციის ფარგლებში ყველაზე მეტი მოქალაქე თბილისის, ქუთაისის, გორის, ბათუმისა და მარნეულის იუსტიციის სახლებში გამოცხადდა.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქე თუ ახალ მისამართზე 10 ოქტომბრის ჩათვლით დარეგისტრირდება, პირადობის ახალ მოწმობას უფასოდ მიიღებს, რეგისტრაციის წესის დარღვევისთვის ჯარიმისგან გათავისუფლდება და საარჩევნო სიაში იქნება შეყვანილი.

მოქალაქემ, შესაძლოა, არ იცოდეს, რომ მოხსნილია რეგისტრაციიდან. აღნიშნულის გადამოწმება ნებისმიერ პირს შეუძლია სერვისების განვითარების სააგენტოსა (www.sda.gov.ge) და იუსტიციის სახლის (www.house.gov.ge) ვებ-გვერდებზე; ასევე, skype-მისამართზე (sda.ge) და ტელეფონის ნომერზე – 240 10 10.

აქციის მიზანია, საქართველოს ჰქონდეს ზუსტი საარჩევნო სია. აქციის შედეგად, დადგინდება, რეალურად არსებობენ თუ არა ე.წ. რეგისტრაციიდან მოხსნილი პირები და მათი რეგისტრაცია მოხდება.

თავიდან, ახალი მისამართის მიხედვით. სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციიდან მოხსნილია 98 000-მდე პირი, რომელთაც შეუძლიათ ამ აქციით სარგებლობა.

პირი რეგისტრაციიდან იხსნება შემდეგ შემთხვევებში:

* ფიზიკური პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც დაადასტურებს, რომ რეგისტრაციიდან მოსახსნელი პირი ბოლო 6 თვის განმავლობაში კონკრეტულ მისამართზე არ ცხოვრობს;

* საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ბინის ახალი მფლობელი საკუთრების რეგისტრაციისას მოითხოვს ფართის ძველი მესაკუთრისა და აღნიშნულ მისამართზე დაფიქსირებული პირების რეგისტრაციიდან მოხსნას;

* რაც შეეხება ახალ მისამართზე რეგისტრაციის გავლას, მსურველებს შეუძლიათ, განაცხადი წარადგინონ სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებსა და იუსტიციის სახლებში.

psnews.ge

მადლობა

გულნაზ ბრეგაძე მადლობას უხდის **შპს №1 სკოლას,** შვილიშვილის, დიმიტრი ბრეგაძის წარმატებაში შეტანილი წვლილისათვის.

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: გაითვალისწინეთ, არაფრის შცვლა არ ღირს! თუ კარდინალური გადაწყვეტილებების მიღებას მოგთხოვენ, ეცადეთ, თავი აარიდოთ პირდაპირ პასუხს.

კურო: ნუ იქნებით ამბიციური. თუ სწორ დასკვნებს გამოიტანთ და სწორად შეაფასებთ მოვლენებს, წარმატებას სწრაფად მიაღწევთ. გაიგებთ სასიამოვნო ამბავს.

ტყუპები: ოჯახში სიმყუდროვესა და სითბოს შეიქმნით. შეიძლება არასასიამოვნო ცვლილებებიც გაჩნდეს.

კირჩხიბი: საქმიან ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დაგიდგებათ, რთულ პროექტებსაც კი ადვილად განახორციელებთ. საყვარელ ადამიანთან სასიამოვნო ურთიერთობა გელით.

ლომი: ზედმეტი ნერვიულობა არც თქვენ გარგებთ და ამით გარშემომყოფებსაც გააღიზიანებთ, ამიტომ სჯობს, დამშვიდდეთ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოთ და გამოსავალი ისე მოძებნოთ. ახალი ნაცნობობა ბევრ სარგებელს მოგიტანთ.

ქალწული: იფიქრეთ იდეების განხორციელებაზე და დასახული მიზნის განსახორციელებლად შრომას ნუ დაიზარებთ. თქვენს გონებაში სრული ქაოსია. სასიხარულო ამბავი გელით.

სასწორი: ბევრი საქმე გამოგიჩნდებათ, მაგრამ თუ ძალებს არ დაიშურებთ ამ კვირაში გაუმკლავდებით მათ. თუ გსურთ მიაღწიოთ წარმატებას საქმეში, არ უნდა დაიშუროთ დრო და ენერგია, შრომა სათანადოდ დაგიფასდებათ.

მორიელი: არსად გეჩქარებათ, აკეთეთ ყოველდღიური საქმე და დაელოდეთ უკვე გაკეთებული საქმეებიდან რეზულტატს. მალე გამოგიჩნდებათ სარფიანი წინადადებები.

მშვილდოსანი: ბიზნესთან დაკავშირებული ნებისმიერი წამოწყება მოგებას მოგიტანთ. მიღწეულით ნუ დაკმაყოფილდებით, სწორ გზას აღგახართ, ასე გააგრძელეთ.

თხის რქა: ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. თქვენს მიერ გაკეთებულ სასიკეთო საქმეებს დიდი ინტერესითა და აღფრთოვანებით დაუწყებენ გაანალიზებას. ზოგი ეცდება, რომ თქვენზე უარყოფითი თქვას, მაგრამ თქვენი შრომისუნარიანობა და ორგანიზებული ხასიათი დაარწმუნებს ხელმძღვანელობას, რომ დაგაწინაუროთ.

მერწყული: არაფრის შეცვლა არ ღირს. არაა საჭირო საქმეების გარჩევა და უსარგებლო შეკითხვების დასმა. უმჯობესია დასახულ გზას არ ასცდეთ და დინებას მიჰყვეთ.

თევზები: თუ ოპტიმიზმს შეინარჩუნებთ, მაშინ ხასიათი და განწყობა კარგი გექნებათ. ეცადეთ ერიდოთ უარყოფით ემოციებს.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ყურძენი; 5. კრივი; 6. ლუი; 8. მაკ; 9. გენუა; 11. იალქანი.
შვეულად: 1. კრავი; 2. რეა; 3. ყარყატი; 4. იტურუპი; 7. ლევან; 10. ბლუ.

„სიცილის კარდიოგრამა“ 80 წლის ვაჟა ჭყონიასაგან

ბაღისკიდური იუმორის გრანდს, გამორჩეულ ქუთაისელს, ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს, ბატონ ვაჟა ჭყონიას 80 წელი შეუსრულდა. დიდი სიყვარულით ვულოცავთ იუბილეს და ვუსურვებთ, მისი ფხიანი სიტყვა, ლამაზი იუმორი კიდევ მრავალ წელს ამშვენებდეს ქალაქური ფოლკლორის საგანძურს!
გთავაზობთ რამდენიმე ჩანაწერს ბატონი ვაჟას წიგნიდან „სიცილის კარდიოგრამა.“

სამპირა
ბიძინიჩს ვკითხე, სადაურია შენი სიდედრი-მეთქი.
— ორპირელი, მაგრამ სამი პირი აქვსო.
— ოჯახის მოყვარული თუა-მეთქი.
— როგორ არაო, — მიპასუხა.
— იმნაირი კეთილისმყოფელია, კვერცხის გულში ქათმის ძვალს ეძებსო.

შესვენებაზე

მე თვითონ წავესწარი, მეზობლის ცოლი სკამზე დგას და ჭაღს წმენდს. ქმარი ფეხბურთს უყურებს. ცოლი უყვირის:
— კაცო, თუ ჩამოვვარდი, იქნებ შესვენებისას სასწრაფო გამოიძახო?!

ნაბახუსევზე
მეგობრებმა თანაკლასელს, სულგანათლებულ გურამ აბესაძეს, ქალიშვილი გავაცანით და შევუჩნდით: ხომ ხედავ, კარგი გოგოა. შეხვდით ერთმანეთს, თუ ხასიათს აუწყობთ, ოჯახის შექმნაზეც იფიქრეთ-თქო.
— რა გვარია? — დაინტერესდა გურამი.
— მჟავანაძე.
— აუ, რა იქნება ნაბახუსევზეო!

წლეულსაც პარიზი
— წლეულსაც მინდა პარიზში წასვლა! — ვეუბნები მეგობარს.
— რავა, შარშან უკვე იყავი?
— არა, შარშანაც ძალიან მინდოდა წასვლა.

მოსახვევში დაჭერილი თევზები
ომარს თბილისელები ეწვივნენ და ქალაქგარეთ, ტყეში გაუწყო პურმარილი. ოფიციანტმა რიონის წვერა შემოიტანა. ლანგარზე ოთხი თევზი იდო. სამი ჩვეულებრივია, ერთი — საგრძნობლად მოღუნული. თბილისელთაგან ერთ-ერთი დაინტერესდა:
— ბატონო ომარ, ეს თევზი რატომ არის მოღუნული?
ომარი არც დაფიქრებულა, ისე მოუჭრა:
— მოსახვევში დაიჭირეს, იქ, სადაც ყვირილა რიონს უერთდებაო.

თაიგული
გიზო კაკაურიძემ მიამბო: ჩემი მეზობლის დაკრძალვისას იმდენი ხალხი მოვიდა, მკვდრის დამატება დაგვჭირდაო.
— შენი მეუღლის მიტანილ თაიგულს ბევრი აქებდა... — შევახსენე.
— სწორი ხარ, ჩემო ვაჟა, — მეუბნება გიზო, — ისეთი ლამაზი თაიგული იყო, რომ მიცვალებულმა თვითონ გამოართვა.

უმუშევრები

— სად მიდიხარ? — ვეკითხები მეგობარს, რომელიც, კარგა ხანია, არსად მუშაობს.
— არ ვიცი, ვერ გეტყვი, სად მივდივარ.
— მეც წამოვალ, თუ შეიძლება. — ვთხოვე და მასთან ერთად გავუყევი გზას.

რატომ ვატარებ ყავარჯნებს?

იმერეთის ერთ-ერთ კოპწია სოფელში დამპატიჟეს. ისეთი სუფრა გაიშალა, საგანგებოდ დახატული გეგონებოდა. დიასახლისი თავზე დაგვტრიალებდა და ცდილობდა, დრო სასიამოვნოდ გაგვეტარებინა. ხან ხაჭაპური შემოამატა სუფრას, ხან მწვადები, ბოლოს კეცზე შემწვარი ვარიკები შემოიტანა, თან მეუბნება:
— მიირთვით, ბატონო, წიწილის ხორცია. მაყვლის წვენიც აგერ დევს, ამოავლეთ და გესიამოვნებათ.
მადლობა მოვახსენე, მაგრამ ქათმის ხორცი მაინც და მაინც არ მიყვარს და არ გადამიღია.
— მოიტეხეთ ბარკალი, ბატონო! — მაძალებს დიასახლისი.
ისევ მადლობას მოვახსენებ, მაგრამ კვლავ ვუარობ.
— თუ ბარკალი არ გიყვართ, მაშინ კისერი მაინც მოიტეხეთ, ჩემო ბატონო...
იმ დღეს ისე გულიანად მეპატიჟებოდა ის ქალბატონი, რომ ხათრი ვეღარ გავუტეხე და... კისერი ვერა, მაგრამ ფეხი ნამდვილად მოვიტეხე.
ჰოდა, მას შემდეგ ყავარჯნით დავდივარ.

სიხარული

— რა კარგი ყოფილა სკლეროზი, ყოველდღე ახალ ამბავს ვიგებ.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

საპარლამენტო უმცირესობის წევრი **ჩიორა თაქთაქიშვილი,** სამწუხაროდ, ვერცერთმა ჩვენმა მკითხველმა ვერ ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ბიძინა ივანიშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ირაკლი ღარიბაშვილი

„აბა, არჩევნებზე მნახეთ, ვინა ვარ!“

სოსო ფერაძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. უდიდესი კონტინენტი. 5. ფრანგი მწერალი ალფრედ დე... 6. ფრანგი ფიზიკოსი ალექს ტერეზ... 8. ჟოლტერ სკოტის რომანი რობ... 9. ფუტკრის პროდუქტი. 11. რუსეთის ოლქი. დედაქალაქია იაკუტსკი
ვერტიკალურად: 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი. 2. მაგარმარნნიანი ბუჩქი ან ხე. გამოიყენება სახარატო საქმეში. 3. აშშ-ს ფიზიკოსი ტომას ალვა... 4. კუროორტი თურქეთში. 7. გაზაფხულის თვე. 10. ფუტკრების ბინა